



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87. 8723095001

თარიღი:05/04/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №13

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებით დამტკიცებული „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 87-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა რ ე ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“.
2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, პროაქტიულად გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, ასევე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ანგარიში ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

შესავალი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.

დოკუმენტი მოიცავს ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების პროცენტულ მაჩვენებლებსა და ბალანსს, ასევე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაციას წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის, ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან სახსრების გამოყოფის შესახებ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის

2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	27,936.0	16,291.5	11,644.5	28,678.6	17,036.2	11,642.4
გადასახადები	15,181.2	15,181.20	0.00	15,536.4	15,536.4	-
გრანტები	11,814.5	170.00	11,644.50	11,812.4	170.0	11,642.4
სხვა შემოსავლები	940.3	940.3	0	1,329.8	1,329.8	-
II. ხარჯები	14,813.1	14,155.0	658.1	14,075.5	13,449.7	625.8
შრომის ანაზღაურება	3,036.8	3,036.80	0.00	2,986.4	2,986.4	-
საქონელი და მომსახურება	2,471.7	2,165.39	306.28	2,019.2	1,733.2	286.0
პროცენტი	95.0	95.00	0.00	94.6	94.6	-
სუბსიდიები	7,933.5	7,933.50	0.00	7,750.3	7,750.3	-
გრანტები	109.5	109.5	0.0	109.5	109.5	-

სოციალური უზრუნველყოფა	556.4	556.40	0.00	538.9	538.9	-
სხვა ხარჯები	610.2	258.4	351.8	576.7	236.8	339.8
III. საოპერაციო სალდო	13,122.9	2,136.5	10,986.4	14,603.0	3,586.5	11,016.5
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	16,298.2	4,598.4	11,699.8	9,513.3	2,137.5	7,375.8
ზრდა	16,698.2	4,998.40	11,699.83	10,604.0	3,228.2	7,375.8
კლება	400.0	400.0	0.0	1,090.7	1,090.7	-
V. მთლიანი სალდო	3,175.3	2,461.9	713.4	5,089.7	1,449.0	3,640.7
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	3,334.0	2,620.6	713.4	4,931.0	1,290.3	3,640.7
ზრდა	-	-	-	4,931.0	1,290.3	3,640.7
კლება	3,334.0	2,620.6	713.4	-	-	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	158.7	158.7	-	158.7	158.7	-
კლება	158.7	158.7	-	158.7	158.7	-
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

საშემოსავლო ნაწილი


ახმეტის მუნიციპალიტეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) დინამიკა 2022 წელს ხასიათდება 56 %-იანი ზრდით, რაც მკვეთრად განსხვავდება გასული წლის მაჩვენებლისგან(9,7%-ით),რაც თავის მრივ გამოწვეული იყო მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით (COVID-19-ით გამოწვეული პანდემია) .

➤ შემოსულობები

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის იანვარ-დეკემბერში შემოსულობების გეგმა განსაზღვრული იყო 28336,0 ათასი ლარით. ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 29769,3 ათასი ლარი. წლიური გეგმის 105,1% (საკუთარი შემოსულობების გეგმა შეადგენდა 16691,5 ათას ლარს, ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 18126,9 ათასი ლარი. გეგმის 108,6 %).

შემოსულობების დინამიკა 2018-2022 წწ (ათ.ლარებში)


შემოსულობების დინამიკა 2018-2022 წწ(ათ.ლარში)



- შემოსავლების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო - **27936,0** ათ. ლარით, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 28678,5 ათ. ლარი. წლიური გეგმის 102,6% (საკუთარი შემოსავლების ოდენობა გეგმით შეადგენდა 16291,5 ათას ლარს, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 17036,2 ათასი ლარი).
- არაფინანსური აქტივების კლების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო - 400,0 ათ. ლარით. 12 თვეში ფაქტიურად შემოვიდა 1090,7 ათ. ლარი. წლიური გეგმის 272,7%.

შემოსავლები: 2022 წლის იანვარ-დეკემბერში მიღებული შემოსავლების ოდენობამ წლიური გეგმის მიმართ შეადგინა 102,6%. ბიუჯეტის შემოსავლების ხვედრითი წილი გამოიყურება შემდეგნაირად:

შემოსავლების პროცენტული წილი, 2022 წელი



ა) გადასახადების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა - 15181,2 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 15536,4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 102,3%. საიდანაც

- ✓ დამატებული ღირებულების გადასახადის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 13296,2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მიღებული იქნა 13452,4 ათასი ლარი. გეგმის 101,2%.
- ✓ ქონების გადასახადის წლიურმა საპროგნოზო მოცულობა - 1885,0 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებული იქნა 2084,0.0 ათ.ლარი. გეგმის 110,6% აქედან,

- საწარმოთა ქონების ფაქტიური შემოსავალი - 1477,1 ათასი ლარი. წლიური საპროგნოზო მოცულობის (1385,0 ათასი ლარი) 106,6%.
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი იყო 0 ლარი, ფაქტიურად შემოსულია 12,7 ათ. ლარი.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის ფაქტიური შემოსავალი - 484,4 ათასი ლარი წლიური საპროგნოზო მოცულობის (420,0,ათასი ლარი) 115,3%.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის ფაქტიური ოდენობა - 109,7ათასი ლარი. წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (80,0 ათასი ლარი) 137,2%

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულების პროცენტული მაჩვენებელი
გადასახადები	15181,2	15536,4	102,3%
დღგ	13296,2	13452,4	101,2%
გადასახადები ქონებაზე	1885,0	2084,0	110,6%
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1385,0	1477,1	106,6%
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0	12,7	-
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	420,0	484,4	115,3%
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	80,0	109,7	137,2%

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტების (ტრანსფერები) წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 11644,5 ათასი ლარი. ფაქტიურად მიღებული იქნა 11642,4 ათასი ლარი. წლიური გეგმის 99,98%. მათ შორის:

- ✓ მიზნობრივი ტრანსფერი (დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) – 455,9 ათ. ლარი. აქედან:
 - „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის N147 განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების (მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა) დასაფინანსებლად 285,9 ათ. ლარი.
 - „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესასრულებლად 79,6 ათ. ლარი.
 - „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესასრულებლად 90,4 ათ. ლარი.
- ✓ მთავრობის განკარგულებებით ინფრასტრუქტურული პროექტების, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ და სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილი იქნა :
 - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულების (რეგიონალური განვითარების ფონდი) ფარგლებში გამოყოფილი თანხა შეადგენს 3850,6 ათ.ლარს.

- საქართველოს მთავრობის N1419 განკარგულებით (საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა) გამოყოფილი თანხა შეადგენს 3084.2 ათ.ლარს.
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის N926 განკარგულებით გამოყოფილი თანხაა 2191,4 ათ.ლარი.
- 2022 წლის 15 თებერვლის საქართველოს მთავრობის N277 განკარგულებით გამოყოფილი თანხა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)- 716.0 ათ.ლარს.
- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 აპრილის N604 განკარგულების ფარგლებში გამოყოფილი თანხა - 310.0 ათ.ლარს.

გ) სხვა შემოსავლების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 940,3 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1329,8 ათ. ლარი. წლიური გეგმის 141,4 %. აქედან:

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	პროცენტული შესრულება
სხვა შემოსავლები	940,3	1329,8	141,4%
პროცენტები	394,3	545,3	138,3%
რენტა	250,0	339,8	135,9%
ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის მოსაკრებელი	150,0	179,7	119,8%
მიწის იჯარიდან შემოსავალი	100,0	160,1	160,1%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	76,0	92,5	121,7%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	36,0	41,7	115,8
სანებართვო მოსაკრებელი	16,0	8,0	50%
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	20,0	47,0	235%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	40,0	35,4	88,5%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	220,0	342,2	155,5%
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან)	0	10,0	-

მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის

2022 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგენდა 3398,6 ათ. ლარი. ცენტრალური ბიუჯეტის ნაშთია 778,0 ათ. ლარი, ხოლო 2620,6 ათ. ლარი არის ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი, საიდანაც 42,5 ათ. ლარი არის სპეც. ტექნიკისათვის გამოყოფილი თანხის ნაშთი.


საანგარიშო წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 8329,6 ათ.ლარი , აქედან, ცენტრალური ბიუჯეტის ნაშთია 4318,7 ათ.ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთია 4010,9 ათ.ლარი.

ინფორმაცია 2022 წლის გადასახდელების შესახებ

ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 31670,05 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 24838,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 78,4%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14813,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 14075,5 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის 95,0%.



ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	ათას ლარებში შესრულების პროცენტული მაჩვენებელი
ხარჯები	14813,2	14075,5	95,0%
შრომის ანაზღაურება	3036,8	2986,4	98,3%
საქონელი და მომსახურება	2471,7	2019,2	81,7%
პროცენტი	95,0	94,6	99,6%
სუბსიდია	7933,5	7750,3	97,7%
გრანტი	109,5	109,5	100,0%
სოციალური უზრუნველყოფა	556,4	538,9	96,9%
სხვა ხარჯები	610,3	576,6	94,5%

1. შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2022 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 3036.8 ათასი ლარი. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2986.4 ათასი ლარი, წლიური გეგმის 98.3 %;

2. საქონელი და მომსახურების მუხლით წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 2471.7 ათასი ლარი. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2019.2 ათ. ლარი, წლიური გეგმის 81.7 %. აღნიშნული მუხლიდან დაფინანსდა
 - ✓ შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება - 258.0 ათასი ლარი
 - ✓ მივლინების ხარჯები - 24.8 ათასი ლარი
 - ✓ ოფისის ხარჯები - 207.8 ათასი ლარი.
 - ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები - 61.8 ათასი ლარი.
 - ✓ სამედიცინო ხარჯები - 2.8 ათასი ლარი.
 - ✓ ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის ხარჯები - 612,3 ათასი ლარი (აქედან 285,9 ათ. ლარი არის სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების, 208,6 ათ. ლარი არის საწვავის ხარჯი, 41,0 ათ. ლარი კასრისწყლისა და ილტოს ხეობის მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების, წვევამდელებისა და ახალგაზრდულ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდების ტრანსპორტით მომსახურების ხარჯი. ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები 20,1 ათ. ლარი, მიმდინარე რემონტის ხარჯი 56,7 ათ. ლარი).
 - ✓ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 846,8 ათასი ლარი (აღნიშნული მუხლიდან დაფინანსებულია გარე განათებასა და ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერჯის გადასახადი - 515,0 ათ. ლარი, შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი -54,0 ათ. ლარი და სხვა ხარჯები).
 3. მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის პროცენტის წლიური გეგმა იყო 95,0 ათ. ლარი, გახარჯულია 94,6 ათ. ლარი. წლიური გეგმის 99,6 %.
 4. სუბსიდიების მუხლით წლიური გეგმა გათვალისწინებული იყო 7933,5 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 7750,3 ათასი ლარი. წლიური გეგმის 97,7 %.
 5. გრანტების წლიური გეგმა - 109,5 ათ. ლარი, ფაქტი - 109,5 შესრულება 100%.
 - ✓ (ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთისათვის გადარიცხული გრანტი) - 29,5 ათ.ლარი
 - ✓ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოსათვის გადაცემული გრანტი - 80,0 ათ.ლარი.
 6. სოციალური უზრუნველყოფის მუხლით წლიური გეგმა გათვალისწინებული იყო 556,4 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 538,9 ათასი ლარი. შესრულება 96,9 %.
 7. სხვა ხარჯების მუხლით გასაწევი ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმა განისაზღვრა 610,3 ათასი ლარით, გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 576,7 ათასი ლარი (საკრებულოს წევრების კომპენსაცია 83,3 ათ. ლარი, სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი - 119,3 ათ.ლარი. ამავე მიზნით საქართველოს მთავრობის N604, 05.04.2022წ. განკარგულებით გამოყოფილი 310,0 ათ.ლარიდან გახარჯულია 307,8 ათ.ლარი. საჯარო სკოლების წარჩინებით კურსდამთავრებულთა დასახმარებლად სარეზერვო ფონდიდან გამოიყო თანხა 26,1 ათ.ლარის ოდენობით, ხარჯი 100%-ია. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავის რეაბილიტაცია - 33,2ათ. ლარი და სხვა ხარჯები.
- არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16698,2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯსაკმა - 10604,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 63,5 %-ია.
 - ვალდებულებების კლების მუხლით დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 158,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 158,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100 %-ია.

სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის „ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის კომპაქტორიანი

თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის და ნარჩენების კონტეინერის გადმოცემის მიზნით პროცენტის სახით გადახდილია 37.8 ათ. ლარი, ხოლო ვალდებულება შემცირებულია 76.3 ათ. ლარით. სესხის დაფარვის ბოლო თარიღია 2026 წლის აპრილი. "ახმეტის მუნიციპალიტეტში სოფელ მატნის სპორტსკოლის რესკონსტრუქციისა და შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის" გრძელვადიანი სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში 2022 წელს პროცენტის სახით გადახდილია 56.8 ათ. ლარი. ხოლო ვალდებულება შემცირებულია 82.4 ათ. ლარით. სესხის დაფარვის ბოლო თარიღია 2027 წლის მარტი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- სკოლამდელი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის ამაღლება;
- კულტურისა და სპორტის განვითარება და ახლგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა.

1. ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა- შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13942,4	8727,8	62,6%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	8226,3	4912,5	59,7%
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1664,0	1271,3	76,4%
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	950,7	603,3	63,5%
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	234,0	219,3	93,7%

02 02 03	ა(ა)იპ სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი	479,3	448,7	93,6%
02 03	გარე განათება	578,5	537,2	92,9%
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	310	295,7	95,4%
02 03 04	ა(ა) იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური	263,2	236,3	89,8%
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	5,3	5,3	100%
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	43,1	33,2	77%
02 04 01	ბინათმშენებლობა	43,1	33,2	77%
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	312,3	300,2	96,1%
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	312,3	300,2	96,1%
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	996,7	878,5	88,1%
02 07	ტურიზმი	2121,4	794,9	37,5%
02 07 01	ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	2091,9	765,4	36,6%
02 07 02	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	29,5	29,5	100.0%

ა. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

✓ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რაც აუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. ასევე ხორციელდება დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია და მოპირკეთება ასფალტო-ბეტონის საფარით. სამუშაოების და ფინანსება ხორციელდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით. საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებებისთვის გეგმა შეადგენდა 8226,3 ათ.ლარს.საკასო ხარჯი - 4912,5 ათ.ლარი.გეგმის 59,7 %. შესრულების დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია გარდამავალი ოვბიექტების არსებობით. მაგალითად: 2022 წლის დეკემბრის ბოლოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის N926 განკარგულებაში 2022 წლის 30 დეკემბრის ცვლილებით სოფელ ილიურთა -ვესტომთა-საჩილოლო-ვესტმოს და სოფელ ვესტომთა გოგრულთას დამაკავშირებელი ადგილობრივი მიმოსვლის საავტომობილო გზების მოწყობის სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა 1148,9 ათ.ლარით, რომლის განხორციელება მოხდება 2023 წელს.

საბოლოო შედეგები:

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულების ნაშთიდან და 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებით დაფინანსებული პროექტებია:

1. ქალაქ ახმეტაში მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა:

- ✓ ქ.ახმეტაში ნინოშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - სახელშეკრულებო ღირებულება იყო 249,1 ათ.ლარი. (ობიექტის სამუშაოები დაიწყო 2021 წელს მთავრობის №2685 განკარგულების შესაბამისად (№2685) გადახდილია 99,6 ათ. ლარი, 2022 წელს 17.01.2022წ. N75 განკარგულების ფარგლებში გადახდილია 126,2 ათ.ლარი.თანადაფინანსების სახით ადგ.ბიუჯეტიდან დაფარულია 23,4 ათ.ლარი.პროექტი დასრულებულია და საბოლოო ღირებულება შეადგენს 249,1 ათასი ლარს.
- ✓ რუსთაველის ქუჩაზე ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობა - სახელშეკრულებო ღირებულებაა 622,2 ათ.ლარი.ავანსად გადარიცხულია განკარგულების ფარგლებში - 124,4 ათ. ლარი. ობიექტი დასრულდება 2023 წელს.
- ✓ ანდრონიკაშვილის ქ.გზის რეაბილიტაცია - სახელშეკრულებო ღირებულებაა 225,2 ათ.ლარი. ფაქტიური ხარჯი 2022 წელს N75 განკარგულების ფარგლებში შეადგენს 39,2 ათ.ლარს.დასრულდება 2023 წელს.
- ✓ ქ.ახმეტაში სააკაძის ქ.გზის რეაბილიტაცია - სახელშეკრულებო ღირებულებაა 235,6 ათ.ლარი. N75 განკარგულების ფარგლებში საკასო ხარჯია - 191,9 ათ.ლარი.დასრულდება 2023 წელს.
- ✓ ქ.ახმეტაში ფიროსმანის I ქუჩის გზის რეაბილიტაცია - სახელშეკრულებო ღირებულებაა 120,3 ათ.ლარი. 2022 წლის საკასო შესრულებაა N75 განკ.ფარგლებში 118,5 ათ.ლარი. ობიექტი დასრულებულია.
- ✓ ქ.ახმეტაში ჭავჭავაძის I ჩიხის რეაბილიტაცია - სახელშეკრულებო ღირებულებაა 81,5 ათ.ლარი.საკასო შესრულება N75 განკ.ფარგლებში 2022 წელში - 81,5 ათ.ლარი.(მ.შ.თანადაფინანსება - 7,4 ათ.ლარი).ობიექტი დასრულებულია.
- ✓ ჯოყოლოში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - სახელშეკრულებო ღირებულებაა 50,9 ათ.ლარი,საკასო ხარჯი 2022 წელს 48,6 ათ.ლარი (N75 განკ.ფარგლებში).ობიექტი დასრულებულია.
- ✓ ქ.ახმეტაში კახეთის ქუჩის რეაბილიტაცია - სახელშეკრულებო ღირებულებაა 415,7 ათ.ლარი.2022 წლის საკასო ხარჯი - 385,9 ათ.ლარი(დაფინანსებულია რეგ.პროექტის ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან - N75 განკ).ობიექტი დასრულებულია.
- ✓ ქ.ახმეტაში შატილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია -სახელშეკრულებო თანხაა 127,3 ათ.ლარი. ავანსად N75 განკარგულების ფარგლებში გადარიცხულია 25,5 ათ.ლარი.პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2023 წელს.
- ✓ ქ.ახმეტაში ყაზბეგის I ჩიხის რეაბილიტაცია -სახელშეკრულებო ღირებულება 217,6 ათ.ლარი, 2022 წლის საკასო ხარჯი N75 განკ.ფარგლებში არის 209,1 ათ.ლარი.ობიექტი დასრულებულია.
- ✓ ქ.ახმეტაში საკობიანოს გზის რეაბილიტაცია დაიწყო 2021 წელს.სულ ობიექტის ღირებულებამ შეადგინა 211,8 ათ.ლარი.აქედან 2022 წლის საკასო ხარჯია: N2685 განკარგულებით - 7,1 ათ.ლარით, N75 განკარგულებით - 15,1 ათ.ლარი.პროექტის თანადაფინანსებაა 4,6 ათ.ლარი.
- ✓ ქ.ახმეტაში ფალიაშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - N2685 განკ.ნაშთიდან 2022 წლის საკასო ხარჯი არის 39,4 ათ.ლარი. აღნიშნული პროექტი ადგ.ბიუჯეტიდან დაფინანსდა 5,3 ათ.ლარით.ობიექტის დასრულდა და მისი სრული ღირებულებაა 103,6 ათ.ლარი.

- ✓ ქ.ახმეტაში ტაბიძის I ქუჩის გზის რეაბილიტაცია -ობიექტი დაიწყო 2021 წელს N2685 განკარგულების ფარგლებში.2022 წელს N2685 განკ.ნაშთიდან გაიხარჯა 35,2 ათ.ლარი.პროექტი დასრულებულია 2022 წელს და სრული ღირებულებაა 93,9 ათ.ლარი.
- 2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულების ნაშთიდან და 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებით მუნიციპალიტეტის სოფლებში რეაბილიტირებული გზებია :
- ✓ სოფელ ქვემო ალვანში შიდა საუბნო გზის (გზა III) სარეაბილიტაციო სამუშაოების 2022 წლის N75 განკ.ფარგლებში საკასო ხარჯი შეადგენს 96.5 ათ. ლარს,ხოლო განკ.N2685 ნაშთიდან გადაირიცხა 40,6 ათ.ლარი.სულ 2022 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა 137,1 ათ.ლარი.ობიექტის საბოლოო ღირებულებამ კი შეადგინა 179,5 ათ.ლარი.(დაიწყო 2021 წელს და დასრულდა 2022 წელს).
- ✓ სოფელ ზემო ალვანში შიდა საუბნო გზის (გზა N1) რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო 2021 წელს,ობიექტის სრული ღირებულება შეადგენს 271,5 ათ.ლარს.საიდანაც 2022 წლის საკასო ხარჯია 211,6 ათ.ლარი.აქედან N2685 განკ.ნაშთიდან გადაირიცხა 40,1 ათ.ლარი,ხოლო N75 განკარგულებიდან - 171,5 ათ. ლარი.
- ✓ სოფელ კოლოთოში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია დაიწყო 2021 წელს, დასრულდა 2022 წელს.სრული ღირებულებაა 145,5 ათ.ლარი.აქედან 2022 წელს N2685 განკ.ნაშთიდან გადაირიცხა 132,8 ათ.ლარი.
- ✓ N75 განკარგულებით სოფელ დუისში განხორციელდა შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 56.9 ათ. ლარი (მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 7,1 ათ. ლარი).
- ✓ სოფელ არაშენდის საუბნო გზის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებაა 304,3 ათ.ლარი. 2022 წლის საკასო ხარჯი შეადგენს 264.0 ათ.ლარს (დაფინანსებულია რეგ. პროექტის (N75 განკ) ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან). ამასთან, ადგ.ბიუჯეტიდან თანადაფინანსება შეადგენს 22,7 ათ.ლარს.
- ✓ სოფელ ზემო ხოდაშენში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - სახელშეკრულებო ღირებულებაა 394,8 ათ.ლარი. სამუშაოები შესრულებულია 100 %-ით (N75 გაკ.ფარგლებში).
- ✓ სოფელ ალავერდში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - სახელშეკრულებო თანხაა - 127,3 ათ.ლარი. ავანსად გაცემულია 25,5 ათ. ლარი. სამუშაოების დასრულების ვადაა 2023 წელი.
- ✓ სოფელ ჩაბინაანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - N75 განკ.ფარგლებში განხორციელდა. ავანსად გადარიცხულია 59,9 ათ.ლარი. თანადაფინანსების სახით კი - 2,8 ათ.ლარი.დამთავრდება 2023 წელს.
- ✓ სოფელ ხორხელში იმერლიანთუბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - სახელშეკრულებო თანხაა - 863,3 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 199,9 ათ.ლარია (75 განკ. ფარგლებში).ობიექტი დასრულდება 2023 წელს.
- ✓ სოფ. ჯოყოლოში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია განხორციელდა- მტავრობის N75 განკ. ფარგლებში.ობიექტი სახელშეკრულებო ღირებულებაა 50,9 ათ.

ლარი. განკარგულების ფარგლებში საკასო ხარჯი შეადგენს 48,6 ათ.ლარს. პროექტი დამთავრდა 2022 წელს.

- ✓ სოფელ აწყურის შემოსასვლელის ტროტუარის და კიუვეტის რეაბილიტაცია - პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებაა 98,5 ათ.ლარი. 2022 წელს ავანსად გაიცა 19,7 ათ.ლარია, სამუშაოები უნდა დასრულდეს 2023 წელს.
- ✓ სოფელ დუისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 2022 წელს ავანსად გადაირიცხა 56,9 ათ.ლარი. (N75 განკ.ფარგლებში).პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2023 წელს.
- ✓ სოფელ ზემო ალვანის შიდა საუბნო გზის (გზაN2) რეაბილიტაცია - 2022 წლის ავანსად გადარიცხული თანხაა 75,6 ათ.ლარი.პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2023 წელს.
- ✓ სოფელ ჯოყოლოში ხიდთან მისასვლელი გზა - სახელშეკრულებო ღირებულებაა 280.1 ათ.ლარი. საკასო ხარჯი N75 განკ.ფარგლებში 2022 წელს - 280,0ათ.ლარია (მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით - 16,3 ათ.ლარი).ობიექტი დასრულებულია.
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის #926_განკ._25/05/2022 ახმეტის მუნიციპალიტეტში,სოფ.ილიურთა-ვესტომთა-საჩილოლო-ვესტმოს და სოფ. ვესტომთა-გოგრულთას დამაკავშირებელი ადგილობრივი მიმოსვლის საავტომობილო გზების მოწყობა - პროექტი მრავალწლიანია , მისი ბიუჯეტი შეადგენს 3969,8 ათ.ლარს. 2022 წლის შესრულებაა 633,9 ათ.ლარი.

N1419 განკარგულების ფარგლებში განხორციელდა სოფელ ქისტაურში რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და თანმხლები ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 638,5 ათ.ლარი. 2022 საკასო შესრულებამ შეადგინა 450,8 ათ.ლარი. თანადაფინანსების სახით ადგილობრივი ბიუჯეტით გახარჯულია 4,6 ათ.ლარი. პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2023 წელს.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელებული პროექტები:

- ✓ გზების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი - 46.7 ათ.ლარი
- ✓ გზებზე ტექნიკური ზედამხედველობისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 91.8 ათ.ლარი
- ✓ სოფელ ახშანში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის ხარჯი(იყო გრუნტი,დაიგო 595 გრძივ მეტრზე ორფენიანი ასფალტო ბეტონის საფარი.) - 204.9 ათ.ლარი.
- ✓ ტბათანასთან მისასვლელი გზის მოხრეშვა 8 გრძივ კმ-ზე. 9.4 ათ.ლარი.
- ✓ სოფელ ჯოყოლო-დუმასტურის დამაკავშირებელი ხიდის მოწყობის ხარჯი. პროექტით გათვალისწინებული იყო ხიდის სავალი ნაწილის ხის კონსტრუქციების დემონტაჟი და მონტაჟის სამუშაოები 262 გრძივ მეტრზე.დაფინანსდა 183,9 ათ.ლარით.
- ✓ ახმეტის მუნიციპალიტეტის შიდა საუბნო გზები(ორმოული შეკეთება და გამსახურდიას ჩიხი)სამუშაოები დაიწყო 2022 წელს და დასრულდა 2023 წლის იანვარში 2016 მ²ზე. ობიექტის სრული ღირებულებაა 74,4 ათ.ლარი.

- ✓ 2022 წელს გადაირიცხა წინა წლის ნაშთიდან რუსთაველზე დამცავი ღობის მოწყობის ხარჯი 21,9 ათ.ლარი. მოეწყო ახალი ღობე ,მოპირკეთდა ცოკოლი ბაზალტის ფილებით, მოეწყო მოაჯირი ლითონის მილკვადრატით 110 გრძივ მეტრზე.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქ. ახმეტაში ნინოშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია. მოეწყო 573 გრძივ მეტრზე ორფენიანი ასფალტო-ბეტონის საფარი. ისარგებლებს 250 ბენეფიციარი.
- ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე ტროტუარის მოწყობისა და გზის სავალი ნაწილის გაფართოება - აღნიშნული გზის სიგრძე 440 მეტრია. (დაზიანებული სივრცე 1980 კვ.მ) პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა ეზოში შესასვლელების გათვალისწინებით 440 გრძივ მეტრ მანძილზე. ამ პროექტის განხორციელების შემდეგ გაუმჯობესდება როგორც ფეხით, ისე ტრანსპორტით მოსიარულეთა გადაადგილების პირობები და ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სერვისებთან. ამ ქუჩით ისარგებლებს 250 -ზე მეტი ბენეფიციარი.
- ქ. ახმეტაში ანდრონიკაშვილის ქ. გზის რეაბილიტაცია - აღნიშნული გზის სიგრძე 664 მეტრია. (დაზიანებული სივრცე 3320 მ². პროექტით გათვალისწინებულია ორფენიანი ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა ეზოში შესასვლელების გათვალისწინებით 664 გრძივ მეტრზე.
- ქ. ახმეტაში სააკაძის ქ. გზის რეაბილიტაცია - აღნიშნული გზის სიგრძე 926 მეტრია. (დაზიანებული სივრცე 4167 კვ.მ) პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა ეზოში შესასვლელების გათვალისწინებით 926 გრძ. მეტრ მანძილზე. ისარგებლებს 130 ბენეფიციარი.
- ქ. ახმეტაში ფიროსმანის I ქუჩის გზის რეაბილიტაცია - აღნიშნული გზის სიგრძე 348 მეტრია. (დაზიანებული სივრცე 1566 კვ.მ) პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა ეზოში შესასვლელების გათვალისწინებით 348 გრძ. მეტრ მანძილზე. ისარგებლებს 80 ბენეფიციარი.
- ქ. ახმეტაში ჭავჭავაძის I ჩიხის რეაბილიტაცია - აღნიშნული გზის სიგრძე 313 მეტრია. (დაზიანებული სივრცე 1408.5 კვ.მ) პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა ეზოში შესასვლელების გათვალისწინებით 313 გრძ. მეტრ მანძილზე. ისარგებლებს 150 ბენეფიციარი.
- ჯოჯოლოში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - აღნიშნული გზის სიგრძე 207 მეტრია. (დაზიანებული სივრცე 931.5 კვ.მ) პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა ეზოში შესასვლელების გათვალისწინებით 207 გრძ. მეტრ მანძილზე. აღნიშნული გზით ისარგებლებს 110 ბენეფიციარი.
- კახეთის ქუჩის რეაბილიტაციის ხარჯი - აღნიშნული გზის სიგრძე 937 მეტრია. (დაზიანებული სივრცე 4200 კვ.მ) პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა ეზოში შესასვლელების და მიერთებების გათვალისწინებით. ისარგებლებს 800 ბენეფიციარი.
- დასრულდა სოფელ ქვემო ალვანში ხიდთან მისასვლელი გზის (გზა III) რეაბილიტაცია 457 გრძივ მეტრზე, მოეწყო ორფენიანი ასფალტო-ბეტონის საფარი.. ისარგებლებს 500-მდე ბენეფიციარი.

- სოფელ არაშენდის საუბნო გზის რეაბილიტაცია - აღნიშნული გზის სიგრძე 942 მეტრია. (დაზიანებული სივრცე 3500 კვ.მ) პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა ეზოში შესასვლელების გათვალისწინებით 942გრძ. მეტრ მანძილზე. ისარგებლებს 70 ბენეფიციარი.
- სოფელ ზემო ხოდაშენში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - აღნიშნული გზის სიგრძე 970 მეტრია. (დაზიანებული სივრცე 4365კვ.მ) პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა ეზოში შესასვლელების გათვალისწინებით 970გრძ. მეტრ მანძილზე.სარგებლობს 140 ბენეფიციარი.
- სოფელ აწყურის შემოსასვლელის ტროტუარების და კიუვეტის რეაბილიტაცია - პროექტით გათვალისწინებულია ხელოვნური ნაგებობები (რკ/ბეტონის კიუვეტის მოწყობა 150 გრძ/მ. ტროტუარების მოწყობა ასფალტობეტონის საფარით 1072კვ/მ და ბორდიურების მოწყობა 546 მეტრზე გზის ორივე მხარეს . აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ გაუმჯობესდება ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება.აღნიშნული ქუჩით ისარგებლებს 350 -ზე მეტი ბენეფიციარი.
- სოფელ დუისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - აღნიშნული გზის სიგრძე 700 მეტრია. (დაზიანებული სივრცე 3150 კვ.მ) პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა ეზოში შესასვლელების გათვალისწინებით 700გრძ. მეტრ მანძილზე.ისარგებლებს 160 ბენეფიციარი.
- სოფელ ალავერდში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - აღნიშნული გზის სიგრძე 335 მეტრია. (დაზიანებული სივრცე 1507.5 კვ.მ) პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა ეზოში შესასვლელების გათვალისწინებით 335გრძ. მეტრ მანძილზე. ამ პროექტის განხორციელების შემდეგ გაუმჯობესდება როგორც ფეხით ისე ტრანსპორტით მოსიარულეთა გადაადგილების პირობები და ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სერვისებთან. ამ ქუჩით ისარგებლებს 250 -ზე მეტი ბენეფიციარი.
- სოფელ ზემო ალვანის შიდა საუბნო გზის(გზა N2) რეაბილიტაცია - აღნიშნული გზის სიგრძე 769მეტრია. (დაზიანებული სივრცე 3845 კვ.მ) პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა ეზოში შესასვლელების გათვალისწინებით 769გრძ. მეტრ მანძილზე. ამ პროექტის განხორციელების შემდეგ გაუმჯობესდება როგორც ფეხით ისე ტრანსპორტით მოსიარულეთა გადაადგილების პირობები და ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სერვისებთან. ამ ქუჩით ისარგებლებს 220 -ზე მეტი ბენეფიციარი.
- სოფელ ჩაბინაანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - აღნიშნული გზის სიგრძე 597 მეტრია. (დაზიანებული სივრცე 2686.5 კვ.მ) პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა ეზოში შესასვლელების გათვალისწინებით 597გრძ. მეტრ მანძილზე. ამ პროექტის განხორციელების შემდეგ გაუმჯობესდება როგორც ფეხით, ისე ტრანსპორტით მოსიარულეთა გადაადგილების პირობები და ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სერვისებთან. ამ ქუჩით ისარგებლებს 120 -ზე მეტი ბენეფიციარი.

- სოფელ ხორხელში იმერლიანთუბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - აღნიშნული გზის სიგრძე 2211 მეტრია. (დაზიანებული სიგრძე 11055 კვ.მ) პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა ეზოში შესასვლელების გათვალისწინებით 2211გრძ. მეტრ მანძილზე. ამ პროექტის განხორციელების შემდეგ გაუმჯობესდება როგორც ფეხით ისე ტრანსპორტით მოსიარულეთა გადაადგილების პირობები და ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სერვისებთან. ამ ქუჩით ისარგებლებს 300 -ზე მეტი ბენეფიციარი.

ბ. წყლის სისტემების განვითარება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების მოწყობა- რეაბილიტაცია, აგრეთვე , არსებული სისტემის მოვლა-შენახვა. ხორციელდება სოფლების ჭაბურღილების ენერგო სისტემების მოწყობა და რეგიონალური პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების თანადაფინანსება. ასევე დაფინანსებული იქნება ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერგიის გადასახადი. წყლის სისტემების განვითარების 2022 წლის დაზუსტული გეგმა შეადგენს 1644,0 ათასი ლარს, ფაქტიურად გახარჯულია 1271,2 ათასი ლარი

საბოლოო შედეგები:

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებით დაფინანსებული პროექტები:

- ✓ ქ.ახმეტაში ლეონიძის ქუჩაზე საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობა - პროექტის ღირებულება შეადგენს 40,7 ათ.ლარს.(მ.შ ადგ.ბიუჯეტით თანადაფინანსება - 11,5 ათ.ლარია). პროექტი ითვალისწინებს ახალი საკანალიზაციო ქსელის მოწყობას რკინა-ბეტონის ჭების გათვალისწინებით 317 გრძ. მეტრ მანძილზე, რომლითაც ისარგებლებენ არსებული მაცხოვრებლები. ბენეფიციართა რაოდენობა 200-ს აჭარბებს.
- ✓ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის N926 განკარგულების ფარგლებში გამოყოფილი თანხიდან დაფინანსებულია ომალოს წყალსადენის რეაბილიტაცია , რომლის საკასო შესრულებაა 284,1 ათ.ლარი. გასული წლის შესრულება შეადგენს 400,0 ათ.ლარს. ობიექტი დაიწყო 2021 წელს, ფაქტიურად სამუშაოები დასრულდა 2022 წლის დეკემბერში, ანაზღაურება მოხდება 2023 წელს. გაიხარჯა 684,1 ათ.ლარი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი დაფინანსებულია ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 15,7 ათ.ლარი.

საზედამხედველო მომსახურების ხარჯი - 66,2 ათ.ლარია.(მ.შ: 2022 წელს ცენტრალური ბიუჯეტის #2685_განკ._31/12/2020_ნაშთიდან დაფარულია ს.ახალშენის ჭაბურღილების რეაბილიტ.საზედამხედველო მომსახ.ხარჯი - 33,0 ათ.ლარი).

ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულია შემდეგი პროექტები:

- ✓ სოფელ არგოხში ჭაბურღილის მოწყობა - 53,8 ათ.ლარი.(პროექტი დასრულდება 2023 წელს.ჭაბურღილი მოეწყო 150 გრძივ მეტრზე.ისარგებლებს 450 ბენეფიციარი.
- ✓ სოფელ ქისტაურში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები - 59,8 ათ.ლარი(ჭაბურღილი მოეწყო 150 გრძივ მეტრზე 10 მ³ ტევადობის სასმელი წყლის რეზერვუარით.ისარგებლებს 700-მდე ბენეფიციარი).
- ✓ სოფელ ზემო ალვანის წყლის სათავე-ნაგებობის შემოღობვა - 17,6 ათ.ლარი(პროექტით შემოიღობა 700 გრძივ მეტრზე ეკლიანი მავთულბადით, ბეტონის ბოძებზე, ბენეფიციართა რაოდენობა 122-მდეა გათვლილი).
- ✓ სოფელ დუისის წყალმომარაგების სისტემისა და ფილტრატების წყალმომარაგების ტერიტორიის სანიტარული ზონის შემოღობვა - 20,3 ათ.ლარი.(შემოიღობა 1251 გრძივ მეტრზე,ისარგებლებს 1200 ბენეფიციარი).
- ✓ სოფელ ბირკიანში ატრეზიული წყლის ჭაბურღილის(150 მეტრზე) მოწყობა - 39,2 ათ.ლარი.
- ✓ სოფლებში : არგოხი,საბუე,ქისტაური, ბირკიანი, ახალი მომხმარებლის ქსელზე დაერთების ხარჯი - 5,6 ათ.ლარი.
- ✓ ჭაბურღილებზე მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯი - 219,3 ათ.ლარი.

- ✓ ა(ა)იპ სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრის მიერ გაგახრჯულია 448,7 ათ.ლარი, წლიური გეგმის (479,3 ათ. ლარი) 93,6%.

საბოლოო შედეგები :

შეიცვალა სასმელი წყლის ამორტიზებული ქსელები 1797 გრძივ მეტრზე.

შეიცვალა სასმელი წყლის ტუმბო - 13 ერთეული.

გ. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, ქალაქისა და სოფლების ქუჩების ახალი ქსელების მოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერჯის საფასურის გადახდა. გარე განათების მოვლა პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური“.

საბოლოო შედეგები:

- ✓ კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში.
მოეწყო სოფელ ზემო ალვანში გარე განათება, რომლის ხარჯმა შეადგინა 5.3 ათ.ლარი(წინა წლის ნაშთი), გეგმის 100 %.
- ✓ გარე განათების ქსელზე მოხმარებული ელ. ენერჯის გადასახადმა შეადგინა 295.7 ათ. ლარი. წლიური გეგმის (310,0 ათ. ლარი) 95.4 %
- ✓ ა(ა)იპ გარე განათების სამსახურის მიერ 2022 წელს გაიხარჯა წლიური გეგმის (263.2 ათ.ლარი) 89.8%, 236.3 ათ.ლარი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ✓ ა(ა)იპ-ის მიერ შეცვლილია ძველი ლამპიონები ახლით, სულ 379 ცალი, ლედ ნათურა 904, გადამყვანი 45, ფოტორელე 22 ცალი, ამომრთველი 44, ელგამშვები 13 ცალი, დროსელი 40w. – 74 ცალი, ბურთულა სანათი 15სმ - 23 ცალი, ბურთულა სანათი 20სმ - 42 ცალი, ელვაზნა -127 ცალი, ელგამშვები 1 ცალი, ელსადენები - $3\text{კვ} 2*2.5\text{მ}^2$ - 793 მეტრი, ელსადენები - $2*10\text{მ}^2$ - 7750 მეტრი, ელსადენები - $2*16\text{მ}^2$ - 3323 მეტრი.
- ✓ განათებულია მუნიციპალიტეტის ქუჩები და გზები.
- **ბინათმშენებლობა**

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებით დაფინანსებულა ქ. ახმეტაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია (4 ერთეული).

საბოლოო შედეგები

4 ერთეულის სახურავის რეაბილიტაციის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 93,9 ათ. ლარს. პროექტი დაიწყო 2021 წელს და დასრულდა 2022 წელს. სრული დაფინანსებაა 84,0 ათ.ლარი. აქედან 2022 წლის ხარჯი 32,0 ათ.ლარია.

1. ქ. ახმეტაში აღმაშენებლის № 11. სტიქიის შედეგად დაზიანებული საერთო საცხოვრებლის სახურავის აღდგენის სამუშაოები;
2. ქ. ახმეტაში აღმაშენებლის № 13. სტიქიის შედეგად დაზიანებული საერთო საცხოვრებლის სახურავის აღდგენის სამუშაოები.
3. ქ. ახმეტაში რუსთაველის № 101. სტიქიის შედეგად დაზიანებული საერთო საცხოვრებლის სახურავის აღდგენის სამუშაოები
4. ქ. ახმეტაში ლეონიძის №4. სტიქიის შედეგად დაზიანებული საერთო საცხოვრებლის სახურავის აღდგენის სამუშაოები

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულია:

- ✓ ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი - 1.2 ათ. ლარი

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროექტის შედეგად ხდება 4 მრავალბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლების სახურავების აღდგენა 2000 მ² ფართობზე, რომლითაც სარგებლობს დაახლოებით 400 ბენეფიციარი.

➤ საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებით დაფინანსებულა ქ. ახმეტაში შინმოუსვლელთა სკვერის რეაბილიტაცია. პროექტი დაიწყო 2021 წელს ჯამში სრული ღირებულება შეადგენს 551,0 ათ.ლარს. 2022 წელს ამ მიმართულებით გაიხარჯა 203,6 ათ.ლარი. თანადაფინანსება იყო - 31.1 ათ. ლარი . შინმოუსვლელთა სკვერში წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის დაერთების ხარჯმა შეადგინა - 1.2 ათ.ლარი და ასევე ,გახარჯული წყლის საფასურმა - 6.4 ათ.ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულია:

- ✓ ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი - 11.3 ათ. ლარი.
- ✓ ქ. ახმეტაში ჭავჭავაძის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაციის ხარჯი 46.4 ათ. ლარი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროექტის შედეგად რეაბილიტაცია ჩატარდა მემორიალს, დამატებით განთავსდა ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალური დაფა (14 ერთეული). მოეწყო სველი წერტილები, საფეხმავლო ბილიკები, მინი სპორტული მოედანი, მესერი. ბავშვთა გასართობი ატრაქციონები. რეაბილიტაცია ჩატარდა 7000 კვ. მ. ფართობზე. მოეწყო რეკრეაციული ადგილი დასვენებისა და გართობისთვის ყველა ასაკის მცხოვრებთათვის ახმეტაში .

➤ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

2021 წლის ნაშთისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების ჩათვლით, სულ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის (2022 წლის N277 განკვეთიურმა ხარჯმა შეადგინა 878,4 გეგმის 88,1 %. დარჩენილი აუთვისებელი თანხის ხარჯვა განხორციელდება 2023 წლის გარდამავალ პროექტებზე.

2022 წელს განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები :

1. **ქვემო ალვანი**
 - სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები - 16207 ლარი(ს/პრ).
2. **კასრისწყალი**
 - სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები - 20614 ლარი(მ.შ. ადგ.ბიუჯეტით 8964ლ.)
3. **მალრანნი**
 - სანიაღვრე არხის მოწყობა - 6082 ლარი(ს/პრ).
4. **ჭართალა**
 - ს/წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა - 8085 ლარი(ს/პრ).
5. **ბაყილოვანი**
 - სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - 3684 ლარი(ს/პრ).
 - ჭაბურღილის რეაბილიტაციის სამუშაოები - 3769 ლარი(ს/პრ).
6. **ყვარელწყალი**
 - ხიდ-ბოგირის მოწყობა - 26109 ლარი.მ.შ.ადგილობრივი ბიუჯეტით 11899 ლარი.
7. **ხევისჭალა**
 - შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა) - 17924 ლარი (მ.შ.ადგილობრივი ბიუჯეტით 7015).
8. **ქვემო ხალაწანი**
 - სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 20030 ლარი (მ.შ. 9704 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტით.)
9. **ბაბანური**
 - სკვერის მოწყობა - 9881 ლარი (ს/პრ).
10. **არაშენდა**
 - წყლის სისტემის მოწყობა - 3441 ლარი;
 - ს/წყლის სათავე ნაგებობის წყლის ავზის მოწყობა - 3145 ლარი.
11. **არგობი**
 - სკვერის მოწყობის სამუშაოები - 23232 ლარი(მ.შ.ადგ.ბიუჯეტით 11592).
12. **ბულანანი**
 - სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 9063 ლარი.
13. **ჩაჩხრიალა**
 - დენის წისქვილის დადგმა-დამონტაჟება - 9498 ლარი;
14. **ხორბალო**
 - სანიაღვრე არხის მოწყობა - 18784 ლარი (მ.შ.ადგილობრივი ბიუჯეტით 9111).
15. **ზემო ალვანი**
 - გარე განათების მოწყობა - 24562 ლარი (მ.შ. ადგილობრივი ბიუჯეტით 11598 ლარი).
 - სანიაღვრე არხის მოწყობა - 12340 ლარი(მ.შ.ადგილობრივი ბიუჯეტით 5985).

16. ხორხელი

- ს/წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია - 875 ლარი;
- გარე განათების მოწყობა - 2662 ლარი.
- საბავშვო ბაღისთვის ავეჯის შექმნა - 9272(მ.შ.ადგილობრივი ბიუჯეტით 1992).

17. წინუბანი

- სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები -8901 ლარი.

18. ახშნის ველები

- შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა) - 8761 ლარი.

19. დედისფერული

- შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა) - 16413 ლარი(მ.შ. ადგ.ბიუჯეტით 6713).

20. ნადუქნარი

21. ბუხრები

- სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა) - 8536 ლარი.

22. ჯაბური

- ნაპირსამაგრი სამუშაოები -5627 ლარი;
- სანიაღვრე არხის მოწყობა - 1095 ლარი;

23. ზემო ხალაწანი

- ს/წყლის ქსელის მოწყობა - 9411 ლარი(მ.შ.ადგ.ბიუჯეტით 4629).

24. დუმასტური

- სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 12680 ლარი(მ.შ.ადგ.ბიუჯეტით 1077).

25. ახალშენი

- შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 5861 ლარი.

26. შახვეტილა

- ს/წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები - 3818 ლარი
- გარე განათების მოწყობა - 12324ლარი(მ.შ.ადგ.ბიუჯეტით 1054).

27. ომალო(თუშეთი)

- სპორტული მოედნის მოწყობა - 45532 ლარი (მ.შ.ადგ.ბიუჯეტის წილია 36184).

28. საბუე

- წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია - 17795 ლარი(მ.შ.ადგ.ბიუჯეტით 8095).

29. ველები

- სანიაღვრე არხის მოწყობა- 7080 ლარი(მ.შ.ადგ.ბიუჯეტით 537).
- შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია -2986 ლარი.

30. ახშანი

ს/წყლის სათავისა და შიდა ქსელის რეაბილიტაცია - 10467 ლარი.

31. მატანი

- ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები - 6623 ლარი(მ.შ.ადგ.ბიუჯეტით 3212).
- სპორტული საქონლის შექმნა - 14549 ლარი. (მ.შ.ადგილობრივი ბიუჯეტით 7275 ლარი.)
- გარე განათების მოწყობა - 5583 ლარი(მ.შ. ადგ.ბიუჯეტით 2666).

32. კოლოთო

- გარე განათების მოწყობა 9084 ლარი.
- შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია 3517 ლარი.

33. დუისი

- გარე განათების მოწყობა - 17756 ლარი.

34. ხველიანდრო

- მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 6766 ლარი.

35. ჩარეკაული

- სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და შიდა ქსელის რეაბილიტაცია - 2368 ლარი.

- მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა) - 9232 ლარი .

36. ზემო ხოდაშენი

- სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია - 3103 ლარი.
- დრენაჟის მოწყობის სამუშაოები - 8789 ლარი .
- სასმელი წყლის მოწყობა II ეტაპის სამუშაოები - 8469 ლარი.

37. აწყური

- სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია - 12405 ლარი.

38. ჩაბინაანში

- სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები 8135 ლარი.

39. საჩალე

- შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 6632 ლარი.
- გარე განათების მოწყობა - 1218 ლარი.

40. კოჯორი

- შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 6195 ლარი.

41. შუა ხალაწანი

- სასაფლაოს ტერიტორიაზე ნაგებობის მოწყობა - 8698 ლარი.

42. ალავერდი

- შიდა გზის სარეაბილიტაციო (მოხრეშვა) სამუშაოები - 15864 ლარი(მ.შ.ადგ.ბიუჯეტით 7694).
- სავარგულეზამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 22731 ლარი (N168 განკარგულებით,წინა წლის ნაშთიდან).

43. ოჯიო

- შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის II ეტაპის სამუშაოები -7615 ლარი(მ.შ.ადგ.ბიუჯეტით 3581).
- საუბნო გზის სარეაბილიტაციო (მოხრეშვა) სამუშაოები - 23492 ლარი (მ.შ.ადგილობრივი ბიუჯეტით 7955 ლარი).

44. ბირვიანი

- ს/წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები 9411 ლარი(მ.შ.ადგ.ბიუჯეტით 4629).
- სასაფლაოს შემოღობვა - 17264 ლარი(მ.შ.ადგ.ბიუჯეტით - 6546).

45. ქისტაური

- ს/წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის სამუშაოები - 18564 ლარი .

46. ჯოყოლო

- სპორტული დარბაზისთვის რეაბილიტაცია - 16947 ლარი(მ.შ.ადგ.ბიუჯეტით 1447).

47. ქორეთი

- სპორტულ მოედანზე ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები - 11021 ლარი.

48. ახალდაბა

- სანიაღვრე არხის მოწყობა - 8631 ლარი .

49. ბელელა

- თავშეყრის ადგილისთვის მასალების შექმნა - 9194 ლარი.

50. კვავლო

- თავშეყრის ადგილისთვის მასალების შექმნა - 10648 ლარი).

51. შენაქო

- თავშეყრის ადგილისთვის რეაბილიტაციის სამუშაოები - 10184 ლარი (მ.შ.ადგილობრივი ბიუჯეტით 477 ლარი).

52. ჩილო

- თავშეყრის ადგილისთვის სამშენებლო მასალის შექმნა - 9497 ლარი.

53. ფიჩხოვანი

- ს/წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები - 10483 ლარი.

54. ომალო (პანკისი)

- სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 16803 ლარი (მ.შ.ადგილობრივი ბიუჯეტით 1470 ლარი).

55. კუნაბტა

- სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები - 12530 ლარი (მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტით 4937 ლარი).
- სპორტულ მოედანზე ინვენტარის მოწყობა - 1851 ლარი .

56. ხადორი

- ჭაბურღილის მოწყობა - 39885ლარი(მ.შ.ადგ.ბიუჯეტით - 19275).

➤ ტურიზმი

- ✓ ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით კახეთის მუნიციპალიტეტებმა დაარსეს ორგანიზაცია ა(ა)იპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი“. აღნიშნული ა(ა)იპ-ის მიზანია ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება, კახეთის რეგიონის უნიკალური თვისებების გამოყენება, როგორცაა, უძველესი ღვინის კულტურა და ღვინის წარმოების ტრადიციები, ადგილობრივი სამზარეულო, ლამაზი სოფლები, კახეთის უნიკალური ბუნება. ამით სარგებლობას იღებს როგორც ტურისტი, ასევე ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები. აღნიშნულ აიპის გრანტის სახით გადაერიცხა 29,5 ათ. ლარი.
- ✓ 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის №1419 განკარგულებით ახმეტის მუნიციპალიტეტისთვის გამოყო თანხა - 163,0 ათ. ლარის ოდენობით, მოხმარდა თუმეთში „ხითანას“ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. ობიექტი დაიწყო 2021 წელს, დასრულდა 2022 წელს, თუმეთი კლიმატური პირობების გამო საზედამხედველო სამსახურმა ვერ შეძლო განხორციელებული სამუშაოების დროული შეფასება თანხის ანაზღაურება მოხდება 2023 წელს. 2022 წელს 2021 წლის ნაშთიდან მოხდა თანხის ჩარიცხვა : განკარგულების ფარგლებში გადარიცხულია 35,9 ათ.ლარი, თანადაფინანსების სახით(0,4 ათ. ლარი). ხელშეკრულება გაგრძელებულია 2023 წლის 1 ივლისამდე.
- ✓ 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის №1419 განკარგულებით ახმეტის მუნიციპალიტეტისთვის გამოყო თანხა ციხე-ქალაქ კვეტერის ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა და პოპულარიზება მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობით . სახელშეკრულებო ღირებულებაა 1388,8 ათ.ლარი.2022 წლის საკასო ხარჯია 531,8 ათ.ლარი(განკ.ფარგლებში),თანადაფინანსებაა 5,3 ათ.ლარი. პროექტი დასრულდება 2023 წელს.
- ✓ N1419 განკ.ფარგლებში დაფინანსებული კიდევ ერთი პროექტია ახმეტაში, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა,რომლის ბიუჯეტი 445,0 ათ.ლარია.2022 წლის სრული საკასო ხარჯი - 164,4 ათ.ლარი(მ.შ ადგილობრივი დაფინანსების სახით - 1,6 ათ.ლარი).

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარემოს დაცვა, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში. ფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის

შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქში არსებული სასაფლაოების მოვლა-დასუფთავება. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მოვლა-პრონობა; მდინარეების კალაპოტის რეგულირება, სანიაღვრე არხების მოწყობა.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2022წლის ფაქტი	შესრულება %-ში
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2234.0	2029.9	90.8%
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	946.7	928.5	98.1%
03 02	გარემოს დაცვა	627.5	605.0	96.4%
03 02 01	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	368.6	352.8	95.7%
03 02 02	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-ტარონობის ცენტრი	258.9	252.2	97.4%
03 03	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	582.2	432.5	74.3%
03 03 01	სანიაღვრე არხების მოწყობა	216.3	213.2	98.6%
03 03 02	ხეების გაწმენდა ნატანისგან	0	0	
03 03 03	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	54.0	25.4	47%
03 03 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	311.9	193.9	62.2%
03 04	დასუფთავების ღონისძიებები	77.6	63.8	82.2%

ა. დასუფთავება და ნარჩენების გატანა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. იგვება ქალაქის და ზოგიერთი სოფლის ქუჩები, სკვერები, იწმინდება სანიაღვრე არხები, პერიოდულად ხორციელდება მწვანე ნარგავების მოვლითი და მორწყვითი სამუშაოები, ითიბება ქალაქის გარკვეული ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები, აგრეთვე სკვერები. ხორციელდება ახმეტის სკვერებში არსებული წყლის რეზერვუარების შევსება და ქუჩების მორეცხვა, ანასხლავი ტოტის გატანა და პერიფერიული ქუჩების დასუფთავება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კონტეინერების სანიტარულ-ჰიგიენურად დამუშავება.

საბოლოო შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური 928.5 ათ. ლარით. წლიური გეგმის 98.1 %-ით.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ განხორციელებული სამუშაოები:

- ✓ 2022 წლის 1 იანვრიდან დეკემბრის თვის ჩათვლით გულგულის ნაგავსაყრელზე ჩატანილია მუნიციპალური ნარჩენები 6 175 ტონა, ხოლო სანიაღვრე არხებიდან გაწმენდითი სამუშაოების დროს ამოღებულმა მასამ შეადგინა 13120 ტონა,
- ✓ მთათუშეთში სოფ.ომალოდან და მისი მიმდებარე სოფლებიდან ომალოსთან არსებულ ნაგავსაყრელზე შეტანილ იქნა 37 ტონა ნარჩენი.
- ✓ ყოველდღიურად იგვება ქ. ახმეტის და სოფლების რიგი ქუჩები, რომლის საერთო ფართი შეადგენს დაახლოებით 97000 მ²-ს.
- ✓ კვირაში სამჯერ სუფთავდება მუნიციპალიტეტის ცენტრალური გზები გადანაყარისაგან, ხოლო რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგვის გატანას, ხდება შემდეგი გრაფიკით: ქ. ახმეტა - ყოველდღიურად, ჯოყოლოს ადმინისტრაციულ ერთეულში კვირაში ხუთჯერ (ორშაბათი,სამშაბათი,ხუთშაბათი,პარასკევი, შაბათი), დუისის ადმინისტრაციულ ერთეულში

კვირაში ექვსჯერ (ორშაბათი,სამშაბათი,ოთხშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი), ხალაწნის ადმინისტრაციულ ერთეულში კვირაში 1-ჯერ (ოთხშაბათი), საკობიანოს ადმინისტრაციულ ერთეულში კვირაში ორჯერ (ორშაბათი, შაბათი), მატნის ადმინისტრაციულ ერთეულში კვირაში ექვსჯერ (ორშაბათი,სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი,პარასკევი, შაბათი), ზემო ალვნის ადმინისტრაციულ ერთეულში კვირაში სამჯერ (სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი), ქვემო ალვნის ადმინისტრაციულ ერთეულში კვირაში ოთხჯერ (სამშაბათი, ოთხშაბათი,ხუთშაბათი, შაბათი), მალრანის ადმინისტრაციულ ერთეულში კვირაში ორჯერ (ორშაბათი, პარასკევი), ოჟიოს ადმინისტრაციულ ერთეულში კვირაში ორჯერ (ორშაბათი, პარასკევი), ხოდაშნის ადმინისტრაციულ ერთეულში კვირაში ექვსჯერ (კვირის გარდა), ქისტაურის ადმინისტრაციულ ერთეულში კვირაში ექვსჯერ (კვირის გარდა), შახვეტილის ადმინისტრაციულ ერთეულში კვირაში 1-ჯერ (სამშაბათი). მთათუშეთში ყოველდღიურად (სეზონურად).

- ✓ მოხდა სანიაღვრე არხების და ცხაურების მოწყობა-რეაბილიტაცია.
- ✓ გასუფთავდა მუნიციპალიტეტის სანიაღვრე არხები, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 10100 კილომეტრს შეადგენს.
- ✓ ქალაქ ახმეტაში გამწვანდა აღმაშენებლის, ჩოლოყაშვილის ქუჩები, ასევე ამბულატორიის და საბავშვო ბაღების ეზოები, სოფ.მატნის ამულატორიის და მეორე საბავშვო ბაღის ეზო. სეზონზე სისტემატიურად ხორციელდებოდა ჭანტურიას, რუსთაველის, ჩოლოყაშვილის და თამარის ქუჩებზე მწვანე ნარგავების მოვლითი და მორწყვითი სამუშაოები. პარალელურად სისტემატიურად მიმდინარეობდა ჩოლოყაშვილის, რუსთაველის, ერეკლე მეორის, აღმაშენებლის, გორგასალის, თამარის, ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, 300 არაგველის, ლეონიძის, 9 აპრილის, ჭავჭავაძის, ჭანტურიას ქუჩების გათიბვითი სამუშაოები. გათიბული იქნა ქ. ახმეტაში მდებარე ყველა სკვერი და აგრეთვე ზ. ალვანში, ქვ. ალვანში, ოჟიოში, ხოდაშენში, აწყურში, მატანში მდებარე სკვერები, ასევე მატნის სპორტული კომპლექსის, ამბულატორიის ტერიტორია.
- ✓ ხორციელდებოდა ახმეტის სკვერებში არსებული წყლის რეზერვუარების მოვლა. ქ. ახმეტის, სოფ. მატნის და ქვ. ალვნის საბავშვო ბაღების წყლით უზრუნველყოფა, ასევე სოფ. ხოდაშნის, მატნის, ქვ.ალვნის და აწყურის მოსახლეობისათვის წყლის მიწოდება.
- ✓ ეპიდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე სისტემატიურად ხორციელდებოდა ეპიდ კერების სადეზინფექციო სამუშაოები.
- ✓ ყოველდღიურად მიმდინარეობდა ქ. ახმეტიდან ანასხლავი ტოტის გატანა და პერიფერიული ქუჩების დასუფთავება.
- ✓ სუფთავდებოდა ქ. ახმეტაში საერთო საცხოვრებლების ეზოები, ყოფილი აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია, სოფ. მატანში ჩოლოყაშვილების ციხე-სიმაგრის ეზოს და მიმდებარე ტერიტორია, სასაფლაოების მისასვლელი გზები, მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და მიმდებარე ტერიტორია, თამარის ქუჩაზე მშენებარე ეკლესიის ეზო და მისი მიმდებარე ტერიტორია, საჭიროებისამებრ მუდმივად ხდებოდა მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის ტერიტორიების დასუფთავება.
- ✓ მიმდინარეობდა სკვერების რეაბილიტაცია და მოსასვენებელი სკამების რესტავრაცია, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელელების შეღებვა, განლაგდა მოსახლეობისთვის დაბინძურების გამაფრთხილებელი ბანერები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
- ✓ სანიტარულ-ჰიგიენურად დამუშავდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კონტეინერები.
- ✓ სისტემატიურად იწმინდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორია

ბ. თუშეთის დაცული ლანდშაფტი

ახმეტის მუნიციპალიტეტი ქვეყანაში ერთ-ერთი მუნიციპალიტეტია, რომელიც მართავს დაცულ ტერიტორიას, კერძოდ თუშეთის დაცულ ლანდშაფტის - 32000 ჰა ტერიტორიას, აქედან 5029 ჰას შეადგენს ტყე, რომელსაც ასევე მართავს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, რაც ასევე არის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი პრევენდენტი, ტყის მუნიციპალური მმართველობისა. თუშეთის, თავისი მასშტაბით მუნიციპალიტეტის ამ უდიდესი სივრცის სამართავად არის შექმნილი ა(ა)იპ. "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია", რომლის მენეჯმენტ-გეგმაც დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით და მასში განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები: თუშეთის ისტორიული დასახლებების ტრადიციული იერსახის შენარჩუნება, დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე სივრცითი დაგეგმარების სისტემის შემუშავება, ადგილობრივი მოსახლეობისათვის საშემე და სამასალე მერქნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ტყის მავნებლების გამრავლებისა და ხანძრების თავიდან აცილების ეფექტური სისტემების შემუშავება, ტრადიციული სასოფლო - სამეურნეო საქმიანობის განვითარების პოტენციალის შესწავლა, თუშეთში მუდმივმაცხოვრებელი მოსახლეობის მოტივირება, სამოვრების მდგრადი მართვის სისტემის შექმნა, ძირითადი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, თუშეთის ენდემური მცენარეული კულტურებისა და ცხოველთა ჯიშების დაცვის სტრატეგიის შემუშავება, დაცულ ლანდშაფტში გადამენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების სტაბილური რაოდენობის უზრუნველყოფა. ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ამოცანათა გადასაჭრელად ადმინისტრაციის საბაზისო ბიუჯეტი საკმარისი არ არის, საჭირო ღონისძიებათა უდიდესი ნაწილი ფინანსდება საერთაშორისო ფონდებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მიერ. ა(ა)იპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის" სტრატეგიას წარმოადგენს საკუთარი სახსრების მოზიდვა მისი წესდებით ნებადართული საქმიანობით: სატყეო მომსახურება, ეროვნულ პარკში შესასვლელი ნებაყოფლობითი გადასახადის დაწესება და ა.შ. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სარგებელი რომელსაც ახმეტის მუნიციპალიტეტს და მის მოსახლეობას მოუტანს ა(ა)იპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის" გამართული მუშაობა, არ გამოიხატება ციფრობრივ-რაოდენობრივი ინდიკატორებით, არამედ უნდა შეფასდეს ხარისხობრივი - გარემოსდაცვითი ინდიკატორებით.

შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია 352,8 ათ. ლარით. წლიური გეგმის(368,6ათ.ლარი) 95,7 %-ით.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

თუშეთის შიდა სამანქანე გზების გაწმენდა-რეაბილიტაციის სამუშაოები:

1. ჭანჭახოვნის ხეობის შიდა სამანქანე გზების რეაბილიტაცია/გაწმენდა:

- სოფ. ჭალა-ჟველურთა-ნაციხარი-ჩიგლაურთა-ხახაბოს დამაკავშირებელი გზის პერიოდული გაწმენდა და რეაბილიტაცია (სოფ. შტროლთის ძირი; სოფ. ნაციხართან; სოფ. ჩიგლაურთასთან; სოფ. ხახაბოსთან).
- სოფ. შტროლთასთან მისასვლელი სამანქანე გზის გაწმენდა - გაფართოება.
- სოფ. ჭალა - ხისოს სამანქანე გზის გაწმენდა. ხისოს ხევის პერიოდული გაწმენდა.
- სოფ. ქუმელაურთა - ცოკალთის სამანქანე გზის გაწმენდა და პერიოდული შეკეთება.

2. ჩაღმის ხეობის შიდა სამანქანე გზების რეაბილიტაცია/გაწმენდა:

- სოფ. ომალოს შიდა სამანქანე გზების მოხრეშვა/რეაბილიტაცია (ქუეს ჩასასვლელი, ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზა..).
- ქუე - მირგველას სამანქანე გზის გაწმენდა.
- სოფ. შენაქო - დიკლოს დამაკავშირებელი სამანქანე გზის გაწმენდა.

3. გომეწრის ხეობის შიდა სამანქანე გზების რეაბილიტაცია/გაწმენდა:

- სოფ. ბოჭორნა - დოჭუ - ბედელა - ჯვარბოსელი დამაკავშირებელი სამანქანე გზის რეაბილიტაცია/გაწმენდა
- ვარდავაკე - სოფ. ილიურთის სამანქანე გზის გაწმენდა
- სოფ. ჯვარბოსელთან მისასვლელი გზის მდინარის კალაპოტის პერიოდული გაწმენდა.
- სოფ. ვაკასძირი - ბიჭურთის სამანქანე გზის გაწმენდა.
- სოფ. ორციხსთან სამანქანე გზის დაზიანებული მეწყრული მონაკვეთის პერიოდული გაწმენდა ნაშალისაგან.
- სოფ. ვერხოვანთან მისასვლელი სამანქანე გზის მეწყრული მონაკვეთის პერიოდული გაწმენდა ნაშალისაგან. მდინარის კალაპოტის პერიოდული გაწმენდა.
- სოფ. კოკლათა - ვეძისხევის სამანქანე გზის გაწმენდა.

4. წოვათის ხეობის შიდა სამანქანე გზების რეაბილიტაცია/გაწმენდა:

- სოფ. წაროსთან მისასვლელი მეწყრული მონაკვეთის პერიოდული გაწმენდა ნაშალისაგან. ხევების პერიოდული გაწმენდა ნაშალისაგან.
- სოფ. წარო - ინდურთას სამანქანე გზის მონაკვეთის პერიოდული გაწმენდა ნაშალისაგან, ხევების პერიოდული გაწმენდა ნაშალისაგან.

5. პირიქითის ხეობის შიდა სამანქანე გზების რეაბილიტაცია/გაწმენდა:

- მირგველა - სოფ დართლოს დამაკავშირებელი გზის გაწმენდა, ხევების გაგანივრება.
- ღელეს მონაკვეთის გაწმენდა.
- სოფ. დართლო - ჩილოს დამაკავშირებელი სამანქანე გზის დაზიანებული, მეწყრული მონაკვეთების პერიოდული გაწმენდა ნაშალისაგან. ხევების პერიოდული გაწმენდა ნაშალისაგან.
- სოფ. დართლო - დანო - კვავლოს დამაკავშირებელი სამანქანე გზის გაწმენდა.
- სოფ. დართლო - ჭემო - ფარსმის ძირი/ზასო - გირევის დამაკავშირებელი სამანქანე გზის გაწმენდა.

გ. ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი

ორგანიზაცია ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა ("წყაროების", "ბახტრიონის", "შვეიცარიის", "ხორხელის") და სასაფლაოებზე მისასვლელი ბილიკების დაგვა და დასუფთავებას, გამწვანებას, ამორტიზირებული ხეების მოჭრას, უპატრონო მიცვალებულებისათვის გამოყოფილი ადგილის დასუფთავებას. ხდება ტყე-პარკი "წყაროების" ტერიტორიის შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა, რეგულარული დაგვა-დასუფთავება და გამწვანება. ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახების სხვადასხვა სახის დახმარება, (სახურავის შერემონტება, შეშით დახმარება). ხდება ტყე პარკ "წყაროების" წელიწადში 3-4 ჯერ გათიბვა, გაწმენდა ეკალ-ბარდისგან, სეზონზე ყოველდღიურად იგვება და სუფთავდება მთელი ტერიტორია. მიმდინარეობს ტყე-პარკ "ბახტრიონის" გაწმენდა ბალახისა და ჯაგნარისაგან გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე. შედარებით ნაკლები სამუშაოების ჩატარება ხდება ტყე-პარკ "შვეიცარიისა" და ტყე-პარკ " ხორხელში". ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ახმეტის 3 და 1 საბეროს სასაფლაოების ყოველ გაზაფხულზე, შუა ზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე გათიბვა, გაწმენდა ეკალ -ბარდისგან.

შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ა(ა)იპ ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრი 252.4 ათ. ლარით. წლიური გეგმის 99.3%-ით.

➤ **სანიაღვრე არხების მოწყობა**

მუნიციპალიტეტში უხვი ნალექების შედეგად წარმოქმნილი წყლის ნაკადების მიმართულების მისაცემად საჭიროა სანიაღვრე არხების მოწყობა, არსებულის რეაბილიტაცია და მოვლა პატრონობა.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- ქ.ახმეტაში ბახტრიონის ქუჩის სანიაღვრე არხის მოწყობა 65,6 ათ.ლარი. პროექტით გათვალისწინებულია 836 გრძივ მეტრზე სანიაღვრე არხის მოწყობა, ისარგებლებს 750 ბენეფიციარი.
- ქ.ახმეტაში გაგარინის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის ხარჯი 33,3 ათ.ლარი.
- სოფელ მატანში სანიაღვრე არხის მოწყობის ხარჯი 76,9 ათ.ლარი. პროექტით გათვალისწინებულია 580 გრძივ მეტრზე სანიაღვრე არხის მოწყობა, ისარგებლებს 350 ბენეფიციარი.
- სოფელ ხორბალოში სანიაღვრე არხის მოწყობა 6,9 ათ.ლარი. პროექტით გათვალისწინებულია 44 გრძივ მეტრზე სანიაღვრე არხების მოწყობა, ისარგებლებს 150 ბენეფიციარი.
- სოფელ ომალოში(პანკისი) სანიაღვრე არხის მოწყობა 17,5 ათ.ლარი. პროექტით გათვალისწინებულია 122 გრძივ მეტრზე სანიაღვრე არხის მოწყობა, ისარგებლებს 300 ბენეფიციარი.
- სოფელ ზემო ალვანში სანიაღვრე არხის მოწყობა 7,5 ათ.ლარი. პროექტით გათვალისწინებულია 46 გრძივ მეტრზე სანიაღვრე არხების მოწყობა, ისარგებლებს 250 ბენეფიციარი.

- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენის ხარჯმა შეადგინა 1.3 ათ.ლარი.

საზედამხედველოს ხარჯმა კი - 4.0 ათ.ლარი.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი:

- მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილებისა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და საავტომობილო გზების დაცვა მოსალოდნელი სტიქიისგან

➤ **სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია - ექსპლოატაცია**

გათვალისწინებულია მდინარეების კალაპოტის ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება და სოფლების სარწყავი ქსელების მოწყობის, რეაბილიტაციის ხარჯები. გეგმით გათვალისწინებული იყო 204.2 ათ. ლარი. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 193.9 ათ. ლარი.

საბოლოო შედეგები:

- ✓ სოფელ მატანში „კურტანამეულის ხევისგან“ გზის დამცავი ქვის გაბიონის მოწყობა 22.2 ათ. ლარი. პროექტით მოეწყო ნაპირდამცავი ქვის გაბიონები 60 გრძივ მეტრზე. ისარგებლებს 1100 ბენეფიციარი.
- ✓ მდინარე ილტოზე გზის დამცავი ქვის გაბიონის მოწყობა 30.4 ათ.ლარი.
- ✓ სოფ. ოჟიოში მდ. ხოდაშნის ხეზე დამცავი ქვის გაბიონის მოწყობა 114.0 ათ.ლარი. პროექტით მოეწყო ნაპირდამცავი ქვის გაბიონები 125 გრძივ მეტრზე, ისარგებლებს 750 ბენეფიციარი.

- ✓ ახმეტის მუნიციპალიტეტში არსებული ხიდიდან მდინარე ალაზნის კალაპოტის ამოწმენდითი სამუშაოები ღირებულებით 16.8 ათ.ლარი. პროექტით გაიწმინდა მდ.ალაზნის კალაპოტი 300 გრძივ მეტრზე, ისარგებლებს 1750 ბენეფიციარი.
- ✓ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 6.4 ათ. ლარი
- ✓ საზედამხედველო მომსახურების ხარჯმა შეადგინა 4.2 ათ.ლარი.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი:

- ქარბი ნალექის შემთხვევაში მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილებისა და საავტომობილო გზების დაცვა
- შემცირებული ავტოსაგზაო შემთხვევა.
- მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და საავტომობილო გზების დაცვა მოსალოდნელი სტიქიისგან.

➤ **სპეც. ტექნიკის და ინვენტარის შეძენა**

მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის სპეც ტექნიკის, სასოფლო სამეურნეო მანქანების შეძენის, ტრაქტორის კაპიტალური შეკეთებისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯები. გეგმით გათვალისწინებული იყო 54.0 ათ. ლარი. გახარჯულია 25.4 ათ. ლარი.

➤ **დასუფთავების ღონისძიებები**

დასუფთავების ღონისძიების ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული იყო 77.6 ათ. ლარი. შესრულება შეადგენს 63.8 ათ. ლარს. გეგმის 82.2%-ს.

საბოლოო შედეგები:

- შეძენილია 100 ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი, ღირებულებით 55.5 ათ. ლარი.
- სოფელ ჩაჩხრიალასთან მიმდებარედ სტიქიური ნაგავსაყრელის კონსერვაცია - 8.3 ათ. ლარი.

3. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება ზოგადი განათლების ხელშეწყობა, რომელიც დელეგირებულ უფლებამოსილებას წარმოადგენს და მუნიციპალიტეტის მეშვეობით ხდება მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა და სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შესაბამისად მიზნობრივი ტრანსფერის სახით ხდება ხარჯების ანაზღაურება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
04 00	განათლება	4838,6	4287,4	88,6%
04 01	სკოლამდელი განათლება	3,516.80	3160.3	89.9%

04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3124,8	3035,6	97,1%
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (საბავშვო ბაღების არაფინანსური მერიაში)	1328,8	897,1	67,5%
04 02	ზოგადი განათლება	384,9	354,6	92,1%

ა. სკოლამდელი განათლება

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 36 საბავშვო ბაღი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს არსებული მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, ახალი ბაღების მშენებლობას, ასევე, ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვების მეთვალყურეობა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის განსაზღვრა, შესაბამისი პროგრამების, სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა. ბავშვთა სრულფასოვანი კვების ორგანიზება.

საბოლოო შედეგი:

- ✓ დაფინანსებულია ა(ა)იპ საბავშვო ბაღების ცენტრი 3035,6 ათ. ლარით, რომელიც წლიური გეგმის (3124,8 ათ. ლარი) 97,1 % შეადგენს.
- ✓ 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს №1419 აწყურის საბავშვო ბაღის მშენებლობა, ხელშეკრულება დადებულია 636.6 ათ.ლარის ხარჯვაზე, 2022 წელს გახარჯულია 505,1 ათ. ლარი. პროექტი დასრულდება 2023 წელს. რეაბილიტირებულია 183 მ² ფართი, ისარგებლებს 750 ბენეფიციარი.
- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N 75 განკარგულების ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა სოფ. კოლოთოს საბავშვო ბაღს, რომელზეც გაიხარჯა 84,8 ათ.ლარი. ბაღების საპროექტო და საზედამხედველო მომსახურების ხარჯმა 2022 წელს შეადგინა 26,9 ათ.ლარი. თანადაფინანსების სახით გახარჯულია 38,6 ათ.ლარი. სამუშაოები დასრულდება 2023 წელს.

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- ✓ სოფ. ხორხელში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 81,2 ათ.ლარი. რეაბილიტირებულია 113 მ² ფართი, ისარგებლებს 1100 ბენეფიციარი. პროექტი დასრულებულია.
- ✓ ქ. ახმეტის № 5 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 111,2 ათ.ლარი. რეაბილიტირებულია 250 მ² ფართი, გათბობის სისტემა, ისარგებლებს 250 ბენეფიციარი. ობიექტი დასრულებულია.
- ✓ ს. ომალოს საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 28,7 ათ.ლარი. დასრულებულია. რეაბილიტირებულია 90 მ² ფართი, ისარგებლებს 250 ბენეფიციარი.
- ✓ სოფელ არგოხის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 20,5 ათ.ლარი. რეაბილიტირებულია 77მ² ფართი, ისარგებლებს 250 ბენეფიციარი. პროექტი დასრულებულია.
- ✓ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 15,3 ათ. ლარი;
- ✓ ბაღების რეაბილიტაციაზე ტექნიკური ზედამხედველობისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 11,6 ათ. ლარი.

ა)იპის მიერ განხორციელებული საქმიანობები:

2022 წლის იანვრიდან ა.ა.ი.პ. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი“ აქტიურად და წარმატებით ახორციელებს როგორც სასწავლო-სააღმწერდლო, ასევე ბავშვთა კვებისა და შენობების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას მასზე დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში. მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფუნქციონირებს 36 საბავშვო ბაღი. სულ ირიცხება 1204 აღსაზრდელი,საიდანაც 567 გოგონაა, 637 ბიჭი.ერთი ბავშვის დღიურ რაციონზე იხარჯება 3 ლარი და 90 თეთრი და შეადგენს 1292 კალორიას.

- ✓ 2022 წელს უკვე დასრულებული იყო 3 ფაზიანი ელ. ენერჯის შეყვანა ყველა საბავშვო ბაღში „სოკარის“ რეგულაციების შესასრულებლად. დამატებით 2022 წელს შეძენილ იქნა სამზარეულოს სხვადასხვა ტექნიკა, რაშიც გაიხარჯა 13.8 ათ.ლარი.
- ✓ ქ.ახმეტის N5 საბავშვო ბაღის და სოფლების: ხორხელის და ახმანის საბავშვო ბაღებში შევიდა 25.6 ათ.ლარის ღირებულების ახალი ავეჯი. ასევე მაცივრები და ხორცის საკეპი მანქანები 30.4 ათ.ლარის. შეძენილ იქნა ერთი სახეობის ჭურჭელი 3.5 ათ.ლარის. აქწყო 25 საბავშვო ბაღში მუსიკალური ინსტრუმენტი(პიანინო).
- ✓ დეკემბრის თვეში აღსაზრდელებზე (1188 ბავშვზე) გაიცა 27.4 ათ. ლარის ღირებულების საახალწლო - სასაჩუქრე ტკბილეული.

➤ ზოგადი განათლება

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულების და 2022 წლის 14 იანვრის №51 განკარგულებით ფინანსდება სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა და სკოლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

საბოლოო შედეგები:

- მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით, საქონლისა და მომსახურების შესყიდვის გეგმა შეადგენდა 285,9,0 ათ. ლარს. გეგმა შესრულებულია 100 %-ით.
- სოფელ მატანის N2 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის ხარჯმა 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულების ფარგლებში შეადგინა 41,4 ათ.ლარი.
- მთავრობის N13 განკ.ფარგლებში განხორციელდა არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების ხარჯის დაფარვა - 1,2 ათ.ლარი.
- კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის, გიორგი ალადაშვილის ინიციატივით და ახმეტის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ყოველ წელს დავაჯილდოვოთ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარჩინებული კურსდამთავრებულები. 2022 წელს დაჯილდოვდა 54 კურსდამთავრებული. ბრძანება გამოიცა მერის სარეზერვო ფონდიდან 26,1 ათ.ლარის ხარჯვაზე.
- **შედეგების შეფასების ინდიკატორი**
 - ✓ სკოლის მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან ტრანსპორტის მომსახურებით.
 - ✓ სკოლის მოსწავლეების წახალისება და მოტივირება უკეთესი მომავლისთვის.

1. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე,

ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული მონაცემების გამოვლინება. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ბიბლიოთეკების, მუზეუმების, ხელოვნების სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2022წლის ფაქტი	შესრულება %-ში
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2781.7	2473.7	88.9%
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1456.0	1340.4	92.1%
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1011.5	990.8	97.9%
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა	557.6	546.1	97.9%
05 01 01 02	ძიუდოს განვითარების ხელშეწყობა ა(ა)იპ ზ. ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლა	257.5	249.8	97.0%
05 01 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ბახტრიონი"	196.4	194.9	99.2%
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	32.7	11.3	34.6%
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	411.8	338.2	82.1%
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1719.8	1684.6	97.9%
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა ა(ა)იპ კულტურის ცენტრი	599.2	592.2	98.8%
05 02 01 02	ა(ა)იპ სამუსიკო სკოლების გაერთიანება	194.3	190.2	97.9%
05 02 01 03	ა(ა)იპ მამიაურის სახელობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა	263.1	260.7	99.1%
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	663.2	641.5	96.7%
05 02 03 02	კლუბები	663.2	641.5	96.7%
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	237.9	230.3	96.8%
05 04	საინფორმაციო ცენტრი	64.6	57.7	89.3%

ა. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. გათვალისწინებულია სტადიონების და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

შედეგები:

2022 წლის განმავლობაში დაფინანსდა სამი სპორტული სკოლა, ესენია:

- ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სპორტული დაწესებულება ახმეტის საფეხბურთო სკოლა "ბახტრიონის" წლიურმა ხარჯმა შეადგინა 194,9 ათ. ლარი. გეგმის 99,2 %;
- ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის „კომპლექსური სასპორტო სკოლის“ ხარჯმა შეადგინა 546,1 ათ. ლარი. წლიური გეგმის 97,9 %;
- ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება - ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლის საკასო ხარჯია 249,8 ათ. ლარი. წლიური გეგმის 97,0 %.

სკოლებში ფუნქციონირებს ძიუდო, კრივი, თავისუფალი, ბერძნულ-რომაული, მკლავჭიდის, ფეხბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ჩოგბურთის, კინზოქსის, რაგბის, მაგიდის ჩოგბურთი, ათლეტიზმი და საცხენოსნო სპორტის სექციები და აღნიშნულ სექციებში ჩართულია 800-ზე მეტი ბავშვი.

2015 წლიდან უსასყიდლოდ, ხოლო 2019 წლიდან მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ფუნქციონირებს ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის „კომპლექსური სასპორტო სკოლასთან არსებული საცხენოსნო კლუბი, აღნიშნულ საცხენოსნო ბაზაზე ვარჯიშობს 50-ზე მეტი ბავშვი. მათ შორის სტაბილურად ვარჯიშობს 10-მდე გოგონა. ზაფხულის განმავლობაში გოგონათა რაოდენობა იზრდება. მეცადინეობებს ატარებს მწვრთნელ-მასწავლებელი, რომელსაც აქვს საერთაშორისო ლიცენზიები (პოლონეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის). ვარჯიშები ტარდება ყოველდღიურად, კვირის გარდა. სწავლება ხორციელდება ხუთი ერთეული, სხვადასხვა ჯიმის სპორტული ცხენით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება მწვრთნელებისა და სხვა დამხმარე პერსონალთა ხელფასები, ხოლო ცხენების კვებას უზრუნველყოფს მეპატრონე, რომელმაც თხოვების ფორმით გადმოსცა მუნიციპალიტეტს ცხენები.

პროგრამის ფარგლებში იმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები, თუმცა გასული წელს შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შეიზღუდა შეჯიბრებების გამართვა და ამიტომ შეხვედრები გასული წლებთან შედარებით ბევრად ნაკლებია

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის „კომპლექსური სასპორტო სკოლის“ მიღწევები

სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის 11 სახეობა: ძიუდო, მკლავჭიდი, კიკბოქსინგი, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კალათბურთი, კრივი, რაგბი, ათლეტიზმი, მაგიდის ჩოგბურთი და საცხენოსნო სპორტი.

სპორტის სახეობებში ვარჯიშობს 470 - ზე მეტი სხვადასხვა ასაკის ბავშვი, რომელთაც ემსახურებათ 28 მწვრთნელ-მასწავლებელი. 2022 წელს მოპოვებულია 147 მედალი: 46 ოქრო, 51 ვერცხლი, 50 ბრინჯაო.

სპორტული ჯგუფები:

- ✓ 6 კალათბურთის (1 ახმეტა, 2 მატანი, 2 ალვანი, 1 ქისტაური),
- ✓ 1 თავისუფალი ჭიდაობის (ალვანი),
- ✓ 3 კიკბოქსინგის (1 ზ. ალვანი, 2 პანკისი),
- ✓ 1 მკლავჭიდის (ახმეტა),
- ✓ 1 რაგბის (ზ.ალვანი),
- ✓ 2 ათლეტიზმის (ახმეტა),
- ✓ 1 კრივის (მატანი),
- ✓ 1 საცხენოსნო სპორტის (სოფ. პიტნიანი)
- ✓ 3 ძიუდოს (ახმეტა, პანკისი),
- ✓ 2 მაგიდის ჩოგბურთი (მატანი, ზ. ალვანი)

2022 წლის 1 იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით მიღწეულ მნიშვნელოვანი შედეგები:

ძიუდო

- ✓ რაიონის პირველობაზე 15 მარტს, ჩვენი სკოლის ძიუდოსტებმა მოიპოვეს ექვსი I, ექვსი II და რვა III ადგილი.
- ✓ 19-20 მარტს, ქ.გორში ძიუდოს საქართველოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებში 200-2004 წელს დაბადებულ ძიუდოსტთა შორის მოიპოვეს ერთი I ადგილი (ბექა მაჩალიკაშვილი) და ორი III ადგილი (მათე ჩაფურიშვილი და ისლამ წინწალაშვილი).
- ✓ 1-2 აპრილს თბილისში ჩატარდა გენო ადამიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით იასპარეხეს და მოიპოვეს ორი I ადგილი (იბრაგიმ იმედაშვილი და უსმან ალხანაშვილი), სამი II ადგილი (ჯანდულა გუმაშვილი და ცოტნე დოინჯაშვილი), ოთხი III ადგილი (იბრაგიმ დაქიშვილი, თემურ ხოლეგაშვილი, მუსლიმ ტოხოსაშვილი და ადლან ბორჩაშვილი).
- ✓ 13 აპრილს ჩატარდა გიორგი ბერიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი, საერთაშორისო ტურნირზე ძიუდოში სადაც ამავე წ. ა. სკოლის მოსწავლემ მოიპოვა ოქროს
- ✓ 29-30 აპრილს ქ. ბორჯომის „მერიის თასზე“ ძიუდოში, ჩვენი სკოლის ძიუდოსტმა ვანო სეხნიაიძემ მოიპოვა ერთი ბრინჯაოს მედალი.
ახმეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის სპორტსმენმა - მათე ჩაფურიშვილმა ევროპის თასზე, ჩეხეთში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.
 - ✓ 8-9-10 აპრილს, საქართველოს ძიუდოს ჩემპიონატზე ქ. თბილისში ბორჩაშვილმა მეორე ადგილი მოიპოვა, ასევე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა იუსუპ მარგოშვილმა.
- ✓ 28-29 მაისს ქ. გურჯაანში ჩატარდა ლაშა მღერიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში სადაც წ. ა. სკოლის სპორტსმენებმა მოიპოვეს: 1 ოქროს, 3 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი.
- ✓ 25 ივნისს ახმეტის მუნიციპალიტეტის პირველობაზე ძიუდოში 2009-2010 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველობაზე ძიუდოსტებმა მოიპოვეს 6 ოქროს, 8 ვერცხლის, და 15 ბრინჯაოს მედალი.
- ✓ 16 სექტემბერს გურჯაანის საშემოდგომო ტრადიციულ ტურნირზე, ძიუდოსტებმა მოიპოვეს 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი.
- ✓ 24-25 სექტემბერს, საქართველოს მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირზე ჭაბუკთა შორის სპორტსმენებმა მოიპოვეს 2 ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი.
- ✓ 15-16 ოქტომბერს ქ. თბილისში აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის ტურნირზე ემოიპოვეს ერთი II და ორი III ადგილი.
- ✓ 26 ოქტომბერს, ძიუდოს დღისადმი მიძღვნილი ტურნირზე ჭაბუკთა შორის ჩვენი სკოლის ძიუდოსტებმა მოიპოვეს სამი I, ორი II და ერთი III ადგილი.

კიკბოქსინგი

- ✓ 4-5-6 მარტს, ახალქალაქის საერთაშორისო ტურნირზე ჩვენი სკოლის სპორტსმენებმა მოიპოვეს სამი I და ცხრა II ადგილი.
 - ✓ 7- 8 მარტს სომხეთის ქ. ერევანში გამართულ ერევანის საერთაშორისო ტურნირზე პროფესიონალთა შორის, სპორტსმენებმა მოიპოვეს სამი I და ორი II ადგილი.
 - ✓ 15-17 აპრილს „იმერეთის ღია პირველობაზე სპორტსმენებმა მოიპოვეს ხუთი I ადგილი.
 - ✓ 27-28-29 მაისს ქ. თბილისში კიკბოქსინგის გუნდმა მოიპოვა ოთხი I და ერთი II ადგილი.
- ✓ 15-16 ოქტომბერს სომხეთის ქ. ვანაძორში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში როგორც პროფესიონალებში, ასევე მოყვარულებში შეჯიბრში მონაწილეობას იღებდა 4 ახმეტელი სპორტსმენი, რომლებიც ქამრებით დაბრუნდნენ სამშობლოში.

მკლავჭიდი

- ✓ 3 მარტს ქ. ლაგოდეხში, ვახტანგ შიხაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე მკლავჭიდიში :
სამი II ადგილი,ორი III ადგილი.
 - ✓ 25 იანვარს ,ქ.გორში მკლავჭიდის ჩემპიონატზე ექვსი I ადგილი,ხუთი II ადგილი,ერთი III ადგილი.
 - ✓ 30 ივლისს ზ.შავყულაშვილის ხსოვნის რესპუბლიკურ ტურნირზე მოიპოვეს ორი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი.
 - ✓ 16-23 ოქტომბერს თურქეთის ქ.ანტალიაში მსოფლიო ჩემპიონატზე პარამკლავჭიდიში ,გელა არაბულმა დაიკავა მეორე ადგილი.

საცხენოსნო კლუბი „ჯარჯიში“ რეგულარულად ვარჯიშობს 38 ახალგაზრდა, როგორც ვაჟები,ასევე გოგონები.

ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება - ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლის მიღწევები:

2022 წელს სკოლამ მონაწილეობა მიიღო სულ 35 ღონისძიებაში.

➤ სკოლაში ვარჯიშობს 180-მდე ბავშვი. მათ შორის 4 გოგონა

1. 5-6 თებერვალი.ქ.თბილისი.

საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრი ჭაბუკებში ძიუდოში.

7 ლიცენზია.

2. 11-13 თებერვალი,ქ.თბილისი

საქართველოს 2022 წლის პირველობა სამბოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის .

ერთი I ადგილი, ორი II ადგილი, ერთი III ადგილი.

3. სკოლის ერთი წარმატებული სპორტსმენისთვის , თორნიკე მაზიაშვილისთვის წინა საშეჯიბრო შეკრებისთვის თანხის გამოყოფა(325 ლ), 14-26 თებერვალი,ქ.თბილისი.

4. 19-20 თებერვალი, ქ.გორი, საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებში .

ერთი II ადგილი.

ერთი III ადგილი .

5. 26-27 თებერვალი. ქ.თბილისი. საქართველოს ჩემპიონატი უფროსებში ,II დონე.ჭიდაობა ძიუდოში.

- ერთი III ადგილი.

6. 28 თებერვალი.ქ.თელავი.შეჯიბრი ქვეჭიდი ნევაზა 20007-2008 წწ.დაბადებულ ძიუდოსტებს შორის. ქალაქი ხაშური ,

- ერთი I ადგილი .

- ერთი II ადგილი.

- ერთი III ადგილი

7. 4-6 მარტი. ქ.თბილისი.საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრება ახალგაზრდებში (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო)

- 9 ლიცენზია

8. 12-13 მარტი.ქ.თბილისი.შეჯიბრება ქვეჭიდში(ნევაზა)2006და 2007-2008 წწ.დაბადებულ ძიუდოსტ ვაჟებს შორის

9. 19-20 მარტი,ქ.გორი. საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში. ერთი I ადგილი .ერთი III ადგილი.

10. 30 მარტი.ქ.ახმეტა.გაიმართა ზონალური შეჯიბრი ჭიდაობა ძიუდოში.

- ერთი I ადგილი .
- ოთხი III ადგილი.

11. 1-3 აპრილი.ქ.თბილისი.საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული საქართველოს ეროვნული გმირის, გენო ადამიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში გოგონებსა და ვაჟებში.

- ორი I ადგილი

12. 9 აპრილს თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი 2007-2008წწ.დაბადებულ ძიუდოსტ ვაჟებს შორის და ასევე,10 აპრილს,თბილისში ჩატარდა 2006 წ.დაბადებულ ძიუდოსტ ვაჟებს შორის.

13. 9-10 აპრილი.ევროპის თასი.ქ.ტეპლიცე.

ერთი II ადგილი.

14. 19 აპრილი.ქ.თბილისი.ავთანდილ ჭრიკიშვილის სახ.მეცხრე საკლუბო ჩემპიონატი 2006-2008 წწ.დაბადებულ ძიუდოსტ ვაჟებს შორის

15. 23 აპრილი - ქ.პოზნანი.საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებში ,ევროპის თასი.

ერთი III ადგილი .

16. 30 აპრილი-1 მაისი ქ.ბორჯომი ,ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის თასი ჭიდაობა ძიუდოში ორი I ადგილი.

17. 6-9 მაისი.ქ.თბილისი.განთიადის ღია პირველობის ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში.

სამი III ადგილი.

18. 22 მაისი.ქ.ბიელსკო ბიელა.ევროპის თასი

ერთი II ადგილი.

19. 28-29 მაისი.ქ.გურჯაანი.ლაშა მღებრიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში 2008-9-10 წწ.დაბადებულ სპორტსმენებს შორის .

ერთი II ადგილი

20. 3-5 ივნისი ქ.თბილისი.გრან სლემი.ჭიდაობა ძიუდოში.

21. 10 ივნისი.ლაგიდეხის რაიონი,სოფელი აფენი.გუნდური შეჯიბრი ჭიდაობაში კახეთის მასშტაბით.

გუნდური II ადგილი.

ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება - ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლის ბიუჯეტი იყო 257,5 ათ.ლარი.გაიხარჯა 249,7 ათ.ლარი, გეგმის 97%.

ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სპორტული დაწესებულება ახმეტის საფეხბურთო სკოლა "ბახტრიონი"

სკოლაში ფუნქციონიებს 11 ჯგუფი, აქედან 5 ჯგუფი ახმეტაში და 6 ჯგუფი სოფლებში: ქისტაური, მატანი, ფიჩხოვანი, საკობიანი, ბირკიანი, ქვ. ალვანი.

სკოლაში ირიცხება:

- ✓ 250 ბავშვი
- ✓ ოთხი საშეჯიბრო გუნდი.
- ✓ გოგონათა გუნდის ექვსი სპორტსმენი ირიცხება ქალთა ეროვნულ ნაკრებში.
- ✓ 2007-08 წლიანებმა მონაწილეობა მიიღეს კახეთის ჩემპიონატში. სადაც დაიკავეს I ადგილი პირველ წრეში.
- ✓ 2008-09 წლიანებმა მონაწილეობა მიიღეს კახეთის ჩემპიონატში. სადაც დაიკავეს I ადგილი პირველ წრეში.
- ✓ 2010-11 წლიანებმა მონაწილეობა მიიღეს კახეთის ჩემპიონატში. სადაც დაიკავეს II ადგილი პირველ წრეში.

მიმდინარე ეპიდ სიტუაციის გამო, სკოლის მოსწავლეების ვარჯიშები და შეჯიბრებები დროებით შეჩერდა მეორე წრეზე.

ბ. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

საბოლოო შედეგები:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:

22. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი 592,2 ათ. ლარით. გეგმის 98,8%-ით.
23. ა(ა)იპ ა(ა)იპ სამუსიკო სკოლების გაერთიანება 190,2 ათ. ლარით. გეგმის 97,9%-ით.
24. ა(ა)იპ ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა 260,7 ათ. ლარით. გეგმის 99,1%-ით.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- ✓ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან ფუნქციონირებს 11 კულტურის სახლი.
- ✓ ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს ოთხი გაერთიანება: საკლუბო გაერთიანება, საბიბლიოთეკო გაერთიანება, სამუზეუმო გაერთიანება და ძეგლთა დაცვა.

➤ სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტებია:

- ქ.ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე მინი სტადიონის რეაბილიტაციის ხარჯი 38,9 ათ.ლარი(ჩაირიცხა წინა წლის ნაშთიდან).
- ქ.ახმეტაში სათიანოს უბანში გარე სავარჯიშოების მოწყობა 28,6 ათ.ლარი.
- სოფელ ქისტაურსა და ზემო ალვანში გარე სავარჯიშოებზე კაუჩუკის საფარის მოწყობა 7,9 ათ.ლარი(84 მ²)
- ზემო ხოდამენში სპორტდარბაზში რეაბილიტირებულია სველი წერტილები, გათბობა, ელექტროობა, შიდა ოთახები და ფასადი 140 მ² ზე. პროექტის ღირებულებაა 116,9 ათ.ლარი.
- ქ.ახმეტაში „სამოცბინიანთან“ სპორტული სავარჯიშოების მოწყობა 29,2 ათ.ლარი.
- სოფელ ოჟიოში ღია სპორტული სავარჯიშოების მოწყობა 28,4 ათ.ლარი.

- სოფელ საკობიანოში მინი სტადიონის რეაბილიტაციის ხარჯი 24,7ათ.ლარი(ამ ობიექტზე გვექონდა გასული წლის ვალდებულება და ჩაირიცხა წინა წლის ნაშთიდან,).
- 2022 წელს კერძო პირისგან მომავალში სპორტული დარბაზის მოსაწყობად შესყიდული იქნა ნაკვეთი სოფელ ქისტაურში 44,0 ათ.ლარად.
- იპოდრომის მშენებლობის დასაგეგმად საჭირო ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა 7,9 ათ.ლარი.
- სპორტდარბაზის გაზიფიცირების ხარჯი 1,4 ათ.ლარი.
- სახედამხედველო ხარჯმა შეადგინა 2,9 ათ.ლარი.
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯმა - 7,3 ათ.ლარი.

გ. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ადმინისტრაციის ხარჯები

აღნიშნული ქვეპროგრამიდან ხდება ადმინისტრაციის შესანახი ხარჯებისა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ, ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები (ქ. ახმეტის, ქისტაურის, ოჟიოს, ქვ. ალვანის, ზ. ალვანის, მატნის, საკობიანოს, დუისის, ჯოყოლოს, ომალოს). ქვეპროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმების მოვლა პატრონობის ხარჯების, კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრის დაფინანსებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ოთხი მუზეუმი:

1. რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი.
2. ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
3. პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი.
4. ახმეტის ისტორიის მუზეუმი.

აღნიშნული მუზეუმებისათვის სისტემატურად ხდება სამუზეუმო ექსპონატების მოძიება-მატება, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ქრონოლოგიურად დალაგება, საჭიროების შემთხვევაში ექსპონატების ქიმიურად დამუშავება. ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ისტორიული ეპოქის 400-ზე მეტი ისტორიული ძეგლის მოვლა-პატრონობის ხარჯები. პერიოდულად ეწყობა შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან ისტორიის თემატური ლექციების კუთხით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- დაფინანსებულია ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი 592,2 ათ. ლარით,გეგმის 98,8%.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

საკლებო გაერთიანება:

1. ახმეტის კულტურის სახლში ფუნქციონირებს
 - ფანდურის, სალამურის და გიტარის წრე.
 - სამეჯლისო ცეკვის წრე
 - ხალხური ქორეოგრაფიული წრე
 - ფანდურის და სიმღერის წრე.
2. ზ.ალვანის კულტურის სახლში ფუნქციონირებს გარმონის წრე
3. ქვ. ალვანის კულტურის სახლში ფუნქციონირებს გარმონის და ფანდურის წრე,ასევე

ფუნქციონირებს ანსამბლი „კესელო“.

4. მატნის კულტურის სახლში ფუნქციონირებს ფანდურის წრე
5. საკობიანოს კულტურის სახლში ფუნქციონირებს:
 - გალობის წრე
 - ქარგვისა და ქსოვის წრე
6. არგოხის კულტურის სახლი - ქორეოგრაფიული წრე
7. ოჟიოს კულტურის სახლში ფუნქციონირებს:
 - ქარგვის წრე
 - ქორეოგრაფიული წრე

✓ კულტურის სახლის წრეებში მონაწილეობას იღებს 80 ბავშვი.

✓ ახმეტის კულტურის სახლში ფუნქციონირებს:

- ფოლკლორული ანსამბლი „ბახტრიონი“
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბახტრიონი“
- ლათინური ცეკვის ანსამბლი „იმპრესია“
- საესტრადო ჯგუფი „კვეტერა“

✓ სოფ.ქისტაურში ფუნქციონირებს ფოლკლორული ანსამბლი „მუქოეთი“.

შენიშვნა:

2022 წლის განმავლობაში ჩატარდა 34 ღონისძიება.

საბიბლიოთეკო გაერთიანება

1. ახმეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება მოიცავს 12 ბიბლიოთეკას, მათ შორის

- ქ.ახმეტაში მოქმედ მთავარ ბიბლიოთეკას
- ქ.ახმეტაში მოქმედ საქალაქო ბიბლიოთეკას
- ჯოყოლოს სასოფლო ბიბლიოთეკა
- დუისის სასოფლო ბიბლიოთეკა
- ხალაწნის სასოფლო ბიბლიოთეკა
- საკობიანოს სასოფლო ბიბლიოთეკა
- მატნის სასოფლო ბიბლიოთეკა
- ზემო ალვანის სასოფლო ბიბლიოთეკა
- ქვემო ალვანის სასოფლო ბიბლიოთეკა
- მადრაანის სასოფლო ბიბლიოთეკა
- ზემო ხოდაშენის სასოფლო ბიბლიოთეკა
- კასრისწყალის სასოფლო ბიბლიოთეკა.

✓ ბიბლიოთეკებში თაროზე განთავსებულია 120 326 წიგნი. სხვადასხვა დროს გაუქმებული ბიბლიოთეკებიდან შემოტანილია წიგნი, რომელიც შეადგენს 22 604 ეგზემპლარს, შეტანილია სარეზერვო ფონდში, საიდანაც ხდება ბიბლიოთეკა - ფილიალების წიგნით შევსება. 2022 წელს მთ. ბიბლიოთეკაში შემოვიდა 75 ც. წიგნი

- მთავარი ბიბლიოთეკა: 348 მკითხველი, 26014 წიგნის ბრუნვა
- საქალაქო ბიბლიოთეკა: 110 მკითხველი 18003 წიგნის ბრუნვა
- მატნის სასოფლო ბიბლიოთეკა: 75 მკითხველი 9720 წიგნის ბრუნვა
- ჯოყოლოს სასოფლო ბიბლიოთეკა: 58 მკითხველი 4919 წიგნის ბრუნვა
- ხალაწანის სასოფლო ბიბლიოთეკა: 7 მკითხველი 30 წიგნის ბრუნვა
- დუისის სასოფლო ბიბლიოთეკა: 47 მკითხველი 3027 წიგნის ბრუნვა
- საკობიანოს სასოფლო ბიბლიოთეკა: 95 მკითხველი 2204 წიგნის ბრუნვა
- ზემო ალვანის სასოფლო ბიბლიოთეკა: 217 მკითხველი 12053 წიგნის ბრუნვა
- ქვემო ალვანის სასოფლო ბიბლიოთეკა: 310 მკითხველი 12837 წიგნის ბრუნვა
- მალრაანის სასოფლო ბიბლიოთეკა: 35 მკითხველი 1000 წიგნის ბრუნვა
- ზემო ხოდაშენის სასოფლო ბიბლიოთეკა: 27 მკითხველი 11770 წიგნის ბრუნვა
- კასრისწყალის სასოფლო ბიბლიოთეკა: 10 მკითხველი 40 წიგნის ბრუნვა.

ძეგლთა დაცვა

- ✓ გასუფთავდა წმ.მარინეს სამონასტრო კომპლექსი, რომელიც წარმოადგენს მე-8 საუკუნის შირიმის ქვით ნაშენ ძეგლს, პერიოდულად ხორციელდებოდა დასუფთავების ღონისძიებები დიდ ბატონში, კვეტერაზე ,ახმეტაში ლომისის წმიდა გიორგის ტაძარზე, მთავარ ანგელოზთა სავანეთში. სულ 2022 წლის განმავლობაში ამ მიზნით განხორციელდა 20 გასვლა.

სამუზეუმო გაერთიანება

- ✓ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
 - მუზეუმის მიერ 2022 წელს გაგრძელდა არსებული ფონდის სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია მოეწყო და განახლდა სტაციონალური ექსპოზიციები. ძირითადი ფონდის ექსპონატებზე დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს აღწერილობის ახალი ბარათების შევსება. შეხვედრები იმართებოდა სოფლის ასაკოვან ადამიანებთან, ჩაწერილ იქნა მათ მიერ მოყოლილი ისტორიები და ფოტოებზე იქნა აღბეჭდილი ტრადიციული თუშური ხელსაქმის ნიმუშები, მოსახლეობაში მოძიებულია ისტორიული ფოტომასალა და დაფიქსირებულია მათი ისტორია.
 - მუზეუმის საცავს შეემატა ახალი ფოტომასალა, რომელიც ძირითადად მოძიებულ იქნა ქვემო ალვანის მოსახლეობაში.

ახმეტის ისტორიის მუზეუმი

- მთლიანობაში მუზეუმში დაცულია 332 -ზე მეტი ექსპონატი, მიმდინარეობს ექსპონატების ინვენტარიზაცია, პასპორტიზაცია , სისტემატურად მიმდინარეობს მუშაობა ახალი ექსპონატების მოძიებაზე.
- მიმდინარეობს მუშაობა წიგნზე ახმეტის ისტორიის შესახებ, პერიოდულად ტარდება შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან ისტორიის თემატური ლექციების კუთხით.

რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი

- მუზეუმი მთელი წლის მანძილზე მუშაობდა ფონდში დაცულ მასალებზე, მათ მოწესრიგებასა და შესწავლაზე.

პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი

- მუზეუმში დაცულია 527 -ზე მეტი ექსპონატი
- მიმდინარეობს ექსპონატების ინვენტარიზაცია, პასპორტიზაცია
- მიმდინარეობს მუშაობა ახალი ექსპონატების მოძიებაზე

ე. სახელოვნებო და მუსიკალური სკოლები

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში შემოქმედებითი აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას. ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი სახელოვნებო სკოლა ესენია:

- ა(ა)იპ „სამუსიკო სკოლების გაერთიანება“, რომელსაც აქვს ფილიალები სოფლებში: მატანი, დუისი, ზ. ალვანი, ქვ. ალვანი. ფინანსდება ასევე, სამუსიკო სკოლების გაერთიანებასთან არსებული ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ჯვარი ვაზისა“. სამუსიკო სკოლის მიზანია ახალგაზრდები ეზიარონ მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს, მოხდეს მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, მუსიკალური ხელოვნების სფეროში ინდივიდუალური შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა - შენარჩუნების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელება. დიდი ყურადღება ეთმობა ქართული ფოლკლორისა და ქართული სიმღერების შესწავლას. სწავლობენ საფორტეპიანო, სიმებიანი (ვიოლინო, გიტარა), ხალხური და ვოკალური განხორციელებით.

2022 წელი ნაყოფიერი აღმოჩნდა სამუსიკო სკოლაში ჩატარებული ღონისძიებების კუთხით:

- ქვ.ალვანის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა გაზაფხულისადმი მიძღვნილი კონცერტი.
- დედის დღეს მუძღვნეს კონცერტი ზ.ალვანის და მატანის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა.
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვილ ღონისძიებაზე ,რომელიც ჩატარდა 26 მაისს, მონაწილეობა მიიღეს ახმეტის და მატანის სკოლების მოსწავლეებმა.
- აქტიური მონაწილეობა მიიღეს „პანკისობაზე“ და ბავშვთა დაცვის დღისადმი(1 ივნისი) მიძღვნილ ღონისძიებებში .
- სასწავლო წლის დასასრულს, ივნისის თვეში,
- ახმეტის სამუსიკო სკოლის დარბაზში ჩატარდა ღია აკადემიური კონცერტი.
- ოქტომბრის თვეში ახმეტის სამუსიკო სკოლის ფოლკლორულმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-6 ეროვნულ კონკურსზე, სადაც დაჯილდოვდა ვერცხლის მედლით.
- ა(ა)იპ „ ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა“ ემსახურება მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარების ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. სკოლა უზრუნველყოფს მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავებას, სკოლაში არის სახელოვნებო წრეები, როგორცაა ხატვა, ფერწერა, თიხის დამუშავება, ქარგვა, ქსოვა, თექა, გობელენი, მუსიკალური წრე, ასევე კრივის და ჭადრაკის წრეები.სკოლაში ირიცხება 176-მდე ბავშვი(მ.შ.130 გოგო). 2022 წელს გამართულ კრივის ტურნირებში ქ.ქუთაისში,გორში,ახალციხეში,ფოთში,ჭიათურაში,ბათუმსა და თბილისში

დაიკავეს I,II და III ადგილები,საქართველოს პირველობაზე ორმა მოსწავლემ აიღო III ადგილი.როგორც წესი,სკოლა აქტიურად არის ჩართული მუნიციპალურ თუ სახალხო დღესასწაულების ორგანიზება-გაფორმებაში.მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეების გამოფენა,მუსიკალური წრის მოსწავლეების საახალწლო კონცერტი,ჩატარდა შიდა სასკოლო გამოფენები და ღია გაკვეთილები.გასულ წელს სოციალურ პროგრამაში ჩაერთნენ დიასახლისები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ დახმარებას და არც საპენსიო ასაკი აქვთ. მათ მიეცათ შესაძლებლობა განერიდონ მძიმე სოციალურ პრობლემებს და შეიძინონ განათლება, რომელიც შეიძლება მათი შემოსავლის წყარო გახდეს. ამ მხრივ დასაქმებული იყო ხვადასხვა პოზიციაზე 11 ბენეფიციარი.

საბოლოო შედეგები:

- დაფინანსებულია ა(ა)იპ სამუსიკო სკოლების გაერთიანება 190,2 ათ. ლარით. წლიური გეგმის 97,9%-ით.
- დაფინანსებულია ა(ა)იპ ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა 260,7 ათ. ლარით. წლიური გეგმის 99,1%-ით

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- სამუსიკო სკოლაში ირიცხება 234 ბავშვი 6-13 წლამდე ასაკის. აქედან ირიცხება 56-მდე ბიჭი, დანარჩენი გოგონა.
- სახელოვნებო სკოლაში ირიცხება 218 ბავშვი. აქედან 42 არის ბიჭი, რომლებიც ძირითადად ეუფლებიან ხატვას, თიხის დამუშავებას და ვარჯიშობენ კრივში. დანარჩენი არის გოგონა.

ვ. საინფორმაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის გაზეთი „ბახტრიონი“, რომელიც ახორციელებს მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვადასხვა ღონისძიებების, კულტურული და სპორტული მოვლენების გაშუქებას.

საბოლოო შედეგი:

დაფინანსებულია ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი 57,7 ათ. ლარით. წლიური გეგმის 89,3%-ით.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წლის განმავლობაში გამოცემულია 10 ნომერი .

ზ. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

ქვეპროგრამა მოიცავს ახალგაზრდობისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ პროექტების განხორციელებას და ფინანსურ მხარდაჭერას, პრიორიტეტი ენიჭება ინოვაციურ და კრეატიულ პროექტებს, რომელიც წაადგება როგორც პროექტის ბენეფიციარებს, ასევე მთელ საზოგადოებას. ახალგაზრდობის სააგენტოს უშუალო მონაწილეობით შექმნილი ახალგაზრდული პოლიტიკის(სტრატეგია) დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს მოხალისეობის პრინციპების დანერგვას, ახალგაზრდა კვალიფიციური მუშაკის სერთიფიცირებას და აღიარებას, აფუძნებს ახალგაზრდულ საბჭოს და ახალგაზრდულ კლუბს აღჭურავს ყველა იმ საჭირო ტექნიკით(კომპიუტერი, ინტერნეტი, პროექტორი, ეკრანი), რომელიც აუცილებელია საბჭოს ეფექტური მუშაობისათვის.

ახალგაზრდულ საზაფხულო ბანაკებში სოციალურად დაუცველი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლების შვილების, შ.შ.მ პირებისათვის აწყობს სხვადასხვა კულტურულ- საგანმანათლებლო ,სპორტულ და შემეცნებით აქტივობებს.

უზრუნველყოფს ახალგაზრდების ჩართულობას ეროვნულ მედია პროექტ „ეტალონი“, მ.ს.კ, რა, სად, როდის? მუნიციპალურ და რეგიონალურ ტურებში, ახდენს ახალგაზრდების ჩართულობას სახალხო დღესასწაულებში და ფესტივლებში.

- სუბსიდირება გაეწია ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაციას (Georgia for friends) „ჯორჯის ფორ ფრენდს“ 5,0 ათ.ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდა საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამყარებას მოსწავლეების, სტუდენტებისა და სასწავლო პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიზნით.
- მნიშვნელოვანი იყო საახალწლოდ ახმეტის მუნიციპალიტეტის მორთვა საახალწლო განათებებით, რაშიც გაიხარჯა 188,1 ათ.ლარი. გასართობი ღონისძიების დაფინანსების მიზნით გამოიყო 7.8 ათ.ლარი (ფეიერვერკის შეძენა და მომღერალთა ჯგუფისთვის მომსახურების ანაზღაურება).
- ახმეტის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული, კულტურული და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდების, ბავშვების და ა.შ. ტრანსპორტირების, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ავტობუსებითა და მიკროავტობუსებით მომსახურებაზე 2022 წელს გაიხარჯა 6.9 ათ.ლარი.
- ინტელექტუალური თამაშის „რა, სად, როდის“ გამარჯვებულებს გადაეცათ წიგნები, რომელთა შესაძენად გაიხარჯა 2.2 ათ.ლარი.

შედეგი:

გეგმით გათვალისწინებული იყო 237,9,0 ათ. ლარი. საკასო შესრულება შეადგენს 230,3 ათ. ლარს. გეგმის 96,8%.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საზოგადოებრივად აქტიური ახალგაზრდობის ზრდა.
- საახალწლოდ მორთული ახმეტა, მოსახლეობაში საახალწლო განწყობის ამაღლება.

კლუბები (პროგრამული კოდი 05 02 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კლუბების რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია და მშენებლობა. გეგმით გათვალისწინებული იყო 663,2 ათ. ლარი. გახარჯულია 641,5 ათ. ლარი. გეგმის 96,7%.

შედეგები:

- 2022 წელს დამთავრდა სოფ. მატნის კულტურის სახლის რეაბილიტაცია, რომლის სრული სახელმეკრულებო ღირებულება შეადგენდა 1681,4 ათ. ლარს, ჯამურად გაიხარჯა 1525.9 ათ.ლარი. 7 სამუშაოები მიმდინარეობდა 2020 წლის სექტემბრიდან 2022 წლის ივნისის ჩათვლით.
2022 წელს გაწეულმა ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 624,9 ათ.ლარი. ამ თანხაში შედის ასევე, სოფელ მატნის კულტურის სახლისთვის სასცენო გახმოვანების აპარატურის შეძენა - 78,5 ათ.ლარი და სცენის ფარდის ღირებულება თანმდევი მონტაჟით - 21,3 ათ.ლარი.
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ტექნიკურ ზედამხედველობაზე გახარჯულია 16,6 ათ. ლარი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტაცია ჩატარდა სოფელ მატნის კულტურის სახლს. კულტურის სახლში არსებული სხვადასხვა წრეებითა და მომსახურებებით ისარგებლებს 2000- მდე ბენეფიციარი.

25. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1740.4	1639.2	94.2%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	173.2	123.3	71.2%
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	89.6	85.8	95.8%
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	83.6	37.5	44.9%
06 02	სოციალური დაცვა	1567.1	1515.8	96.7%
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	365.5	364.6	89.8%
06 02 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	169.2	157.9	93.3%
06 02 02 02	სტიქიური უბედურებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება	442.0	427.1	96,6%
06 02 02 03	მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების პროგრამა	28.0	25.5	91.1%
06 02 03	უმწეოთათვის უფასო კვების პროგრამა	509.5	490.3	96.2%
06 02 06	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	12.9	10.3	79.8%
06 02 05	წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსების პროგრამა	40.0	40.0	100.0%

ა. ჯანდაცვის პროგრამები

პროგრამის მიხედვით ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა. პროგრამა მიმართულია მოსახლეობაში ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებებზე ზედამხედველობის, მათი გავრცელების შემცირების და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისკენ. ინფექციური დაავადებებისაგან მოსახლეობის დაცვის ყველაზე ეფექტური და შედეგზე გათვლილი ღონისძიება არის იმუნიზაცია, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის უმთავრეს ფუნქციას. ჩვენს რაიონში მეცხოველეობა არის ადამიანთა საქმიანობის მნიშვნელოვანი სფერო, ამიტომ მოსახლეობაში გვხვდება ბრუცელოზის შემთხვევები, რაც საჭიროებს აქტიურ ეპიდზედამხედველობას, ვეტსამსახურის დროულ ჩართვას, ოჯახის წევრების ლაბორატორიულ კვლევას და მკურნალობის დროულ დაწყებას. აქტიურად ხორციელდება „ტუბერკულოზის მართვის „ სახელმწიფო პროგრამის ეპიდზედამხედველობა, ასევე, „ტუბერკულოზის კონტროლის“ კანონით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებისთვის განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

- „C“ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების (სკრინინგი) მხარდაჭერა მოსახლეობის ინფორმირებულობის და მობილიზაციის გზით, მკურნალობის პროცესში ჩართვის ზედამხედველობა.
- ერთ-ერთი უმთავრესი პროგრამა, რომელიც ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიერ, არის ცოფთან ბრძოლის პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება წარმოებს ვექსამსახურთან აქტიური თანამშრომლობის ფონზე. ამასთან ერთად, ცოფით დაინფიცირების თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნული დაავადების შესახებ.
- „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობა, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, იმუნიზაციის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, იმუნიზაციისა და მარაგების მართვის ელექტრონული მოდულის გამართული მუშაობის კოორდინაცია, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობის დამხმარე ზედამხედველობა.

საბოლოო შედეგი:

დაფინანსებულია ა(ა)იპ ახმეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 85.8 ათ. ლარით. წლიური გეგმის 95.8 %-ით.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ეპიდმეთვალყურეობა გაეწია ბრუცელოზით დაავადებულ 10 ადამიანს,
- გამოვლინდა ტუბერკულოზით დაავადებული 13 ადამიანი.
- ახმეტის მუნიციპალიტეტში არსებულ ამცრელ კაბინეტებში განხორციელდა 3114 ვიზიტი, სადაც ჩატარდა 13 ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო აცრა.
- 23 სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდა B ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრა,
- 171 ადამიანს გაეწია ანტირაბიული დახმარება,
- დედათა და ბავშვთა პროგრამით დასკრინინგდა 78 ორსული. სქესობრივად გადამდებ ინფექციებზე: B ჰეპატიტი, შიდსი, სიფილისი და C ჰეპატიტი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 7857 ლარი.
- ორსულების კვლევით მინიმუმამდეა შემცირებული B ჰეპატიტის შემთხვევათა რაოდენობა, შედეგად არ გახდა საჭირო ახალშობილის ვაქცინაცია B ჰეპატიტის იმუნოგლობულინზე.
- აქტიურად ტარდებოდა, COVI-19 გამოვლენის თვალსაზრისით, როგორც PCR ტესტირება, ასევე სწრაფი ტესტებით ტესტირება. სულ ახმეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრში 2022 წელს ჩატარდა 648 კვლევა.

ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულია:

- ✓ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ომალოს (თუშეთის) ამბულატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები იაპონიის საელჩოსთან თანადაფინანსების ღირებულება- 22,2 ათ. ლარი. ამავე ამბულატორიისთვის სამედიცინო ხელსაწყოების და გენერატორის შეძენის თანადაფინანსება- 9,7 ათ.ლარი.

ბ. სოციალური პროგრამები

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქებას.

საბოლოო შედეგები:

ქვეპროგრამის ფარგლებში გახარჯულია 610.6 ათ. ლარი, გეგმის (639.2 ათ.ლარი) 95.5%.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახებისათვის, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 65000- დან 80 000-მდე, ასევე მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთათვის ელექტრო ენერჯის ან ბუნებრივი აირის თანადაფინანსება
 - ბუნებრივი აირის თანადაფინანსებით ისარგებლა 57-მა ბენეფიციარმა
 - ელექტრო ენერჯის თანადაფინანსებით ისარგებლა 28-მა ბენეფიციარმა
- 95 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა დახმარებით ისარგებლა 19-მა ბენეფიციარმა
- პირველი და მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში, ერთჯერადად, ბავშვის ერთი წლის ასაკამდე, (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა) - (100 ლარი პირველ ბავშვზე, 200 ლარი მეორე ბავშვზე). დახმარება გაეწია 80 ოჯახს.
- გაწეულია 2 უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი .
- მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად და სეზონურად მცხოვრებ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების შეძენისათვის დაიხარჯა 1,5 ათ. ლარი
- დიალიზის პროგრამით მოსარგებლე პირების ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსებით ისარგებლა 12-მა ბენეფიციარმა.
- განსაკუთრებულ შემთხვევებში „სოციალური პაკეტით განსაზღვრული დახმარების მსურველ პირთა განცხადებების განმხილველი კომისიის“ დასკვნის საფუძველზე გამოყოფილი სოციალური დახმარების ოდენობამ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრები ეკონომიკურად გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი იმ ფიზიკური პირების და ოჯახებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს ან კონკრეტული მიზეზების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია დახმარება სოციალური პროგრამის სხვა მუხლებიდან - ისარგებლა 43-მა ბენეფიციარმა
- უსინათლოთათვის ერთჯერადი დახმარება გაეწია 23 ბენეფიციარს.
- დაუნის სინდრომის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარებით ისარგებლა 8 ბენეფიციარმა.
- აუტიზმის მქონე პირთა ერთჯერადი სოც. დახმარებით ისარგებლა 6-მა ბენეფიციარმა.
- სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ბინა დაქირავებულია 2 ოჯახისთვის.
- ძალადობის მსხვერპლი პირებისთვის განკუთვნილი ერთჯერადი დახმარება მიიღო 7-მა ბენეფიციარმა.

გ. ავადმყოფთა მკურნალობის ხარჯები

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებისათვის დახმარებას.

საბოლოო შედეგი: საერთო სოციალური ფონის უკეთესობისაკენ შეცვლა და უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის დახმარება

ავადმყოფთა სტაციონარული მკურნალობისა და მედიკამენტების თანხის დაფინანსებამ შეადგინა 364,6 ათ. ლარი. გეგმის 99,7%.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევების, ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო ვარჯიშების დაფინანსება (გარდა ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის და ლოგოპედიის მომსახურებისა). პროგრამით ისარგებლა 521-მა ბენეფიციარმა.
- დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და ფსიქიკური პრობლემის მქონე ავადმყოფებისათვის შესაბამისი მედიკამენტების თანადაფინანსებით ისარგებლა 145-მა ბენეფიციარმა

➤ ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ პირთა სოციალური დაცვა

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 აპრილის N604 განკარგულების ფარგლებში გამოყოფილი თანხა შეადგენდა 310.0 ათ.ლარს. საკასო ხარჯი 307.8 ათ.ლარია.
- სარეზერვო ფონდიდან ამ მიმართულებით გახარჯულმა თანხამ შეადგინა 115.8 ათ.ლარი.
- სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის გაწეული სხვა ხარჯია 3.5 ათ.ლარი.

ე. მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურება

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყლის მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება სოფელ კასრისწყლიდან ქალაქ დედოფლისწყაროში, ბაზრის ტერიტორიაზე 35 კმ მანძილზე (ადგილზე მოცდით და უკან დაბრუნებით), თვეში არანაკლებ 8(რვა) რეისი ყოველი კვირის სამშაბათსა და შაბათს, ილტოს ხეობის სოფლების: ჭართალის, შახვეტილის, ჩაჩხრიალის, ნადუქნარისა და საბუის მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება სოფელ ჭართალიდან ქალაქ ახმეტაში, ბაზრის ტერიტორიაზე 15 კმ. მანძილზე (ადგილზე მოცდით და უკან დაბრუნებით), ყოველი კვირის სამშაბათს, პარასკევს და კვირას. აღნიშნულ სოფლებში არ არის სასურსათო მაღაზიები და არც აფთიაქები. არ აქვთ წვდომა სერვისების მომსახურების სააგენტოსთან.

შედეგი:

მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების მიზნით გახარჯულია 25,5 ათ. ლარი. წლიური გეგმის 91,0 %.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ✓ გაზრდილია მოსახლეობის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტების ცენტრებთან (ქ.ახმეტა და დედოფლისწყარო).

ვ. ომის ვეტერანთა სადღესასწაულო და სარიტუალო ხარჯი

ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე შშმ ვეტერანების მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია ერთჯერადად 600 ლარით დახმარება, სამამულო ომის ვეტერანები სადღესასწაულოდ იღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას, გარდაცვლილი ომის ვეტერანთა ოჯახები იღებენ სარიტუალო ხარჯებისათვის თანხას 300 ლარის ოდენობით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახები საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს იღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას 300 ლარის ოდენობით.

საბოლოო შედეგი:

ომის ვეტერანთა სადღესასწაულო და სარიტუალო ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 8,3 ათ. ლარი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ✓ სამამულო ომის ვეტერანთა სადღესასწაულო დახმარება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე შშმ პირებსა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახებს დახმარების პროგრამით ისარგებლა 19 -მა ბენეფიციარმა.
- ✓ ა(ა)იპ ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს ახმეტის რაიონული კავშირის ხელშეწყობის სუბსიდირების ხარჯმა შეადგინა 2000 ლარი. (დაღუპულთა საფლავებზე მისვლა და სათანადო რიტუალის ჩატარება, დაღუპულთა ოჯახების დასახმარება)

ზ. უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი და უმწეო მდგომარეობაში მყოფთა ყოველდღიურად უფასო კვებას.

საბოლოო შედეგი:

დაფინანსებულია ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლი 490,3 ათ. ლარით. წლიური გეგმის 96,2 %-ით.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ✓ კვებაზე გახარჯულია 263,6 ათ. ლარი.
- ✓ ყოველდღიურად იკვებება 370 ბენეფიციარი
- ✓ ერთ ბენეფიციარზე, საშუალოდ, დღეში იხარჯება 1,95 თეთრი.
- ✓ ყოველდღიურად ცენტრში იკვებებოდა 28 ბენეფიციარი,
- ✓ კვება ადგილზე მიტანით - 342 ბენეფიციარი. (მ.შორის: ქისტაურის ზონა-68 ბენეფიციარი, ალვანის ზონა-66 ბენეფიციარი, მატნის ზონა-60 ბენეფიციარი, ახმეტის უტოს ზონა-73 ბენეფიციარი, ახმეტა ჟალური-75 ბენეფიციარი). ეს ზონები მოიცავდა რაიონის მასშტაბით სხვადასხვა მიმდებარე სოფლებს .
- ✓ სააღდგომოდ 370 ბენეფიციარს გაუკეთდა საჩუქარი პასკებისა და სააღდგომო კვერცხის, სანთლებისა და უალკოჰოლო სასმელების სახით, რაშიც გაიხარჯა 3626 ლარი. თითოეულ ბენეფიციარზე გაცემულმა თანხამ შეადგინა 9,8 ლარი.
- ✓ საახალწლოდ 370 ბენეფიციარს გადაეცა საახალწლო ნობათი, რაშიც გაიხარჯა 14578 ლარი, თითოეულზე გაცემულმა თანხამ შეადგინა 39,4 ლარი, საახალწლო პაკეტი შედიოდა: შოკოლადი-1 კგ, კანფეტი კარამელი-1 კგ, ნამცხვარი სხვადასხვა-0,5 კგ, ვაფლის ტორტი-1 ცალი, ყავა-1 ცალი, შესქელებული რძე-1 ცალი, უალკოჰოლო სასმელი ნატურალური წვენი სახით-2 ცალი და ერთჯერადი სალფეტკები-1 შეკვრა.

თ. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსება

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში მთავრობის დამხმარე ორგანიზაციის, უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტებია:

- ✓ კატასტროფების მართვა
- ✓ ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ზრდა
- ✓ სოციალური მხარდაჭერა

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ახმეტის ფილიალში 2013 წლიდან „ინტეგრირებულ საქმიანობათა ცენტრის“ ბაზაზე ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის: ხანდაზმულების სოციალურ მხარდაჭერაზე, ახალგაზრდების გაძლიერებაზე, პანკისის თემის უნარიანობის ამაღლებასა და

ახმეტის მუნიციპალიტეტის კატასტროფების რისკის შემცირების შესაძლებლობის გაზრდაზე ორიენტირებულ საქმიანობას. პროექტით, „საქმიანობათა ცენტრი ახმეტაში“ უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის ფინანსდება ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები (ექსკურსია, შემოქმედებითი საღამოები, ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა და სხვა)
- გაცვლითი ვიზიტები თანამშრომლებისა და მოხალისეებისათვის
- მასალები საქმიანობათა ჯგუფებისათვის (საკერავი, საქსოვი, საქარგი და სხვა)
- საბაზისო მედიკამენტები ლოგინს მიჯაჭვული ბენეფიციარებისათვის
- კატასტროფების შედეგად დაზარალებულთა მხარდამჭერი საქმიანობები
- სამედიცინო აქციები (სასტუმრო, ტრანსპორტირება, კვება) დაუცველი ჯგუფებისთვის
- და სხვა პროგრამული თუ ადმინისტრაციული ხარჯები.

საბოლოო შედეგი:

წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსების ფაქტიური ხარჯები შეადგენს 40.0 ათ. ლარს. წლიური გეგმის 100 %-ს

5. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს. აგრეთვე თავდაცვის ხარჯებს.

საბოლოო შედეგი:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების წლიური გეგმით განსაზღვრული იყო 5436.5 ათ. ლარი. გახარჯულია 4841.0 ათ. ლარი. გეგმის 89.0%.

მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული იქნა 4 ადმინისტრაციული შენობა , რაზეც გაიხარჯა 212.8 ათ.ლარი.

მერიის ფუნქციებისა და ვალდებულებების განსახორციელებლად 2022 წელს შეძენილ იქნა 3 ერთეული ავტომობილი, რაზეც გაიხარჯა 172.0 ათ.ლარი.

სარეზერვო ფონდი

2022 წლის სარეზერვო ფონდის გეგმა განისაზღვრა 266.4 ათ. ლარით. მერის ბრძანება გამოცემულია 149.8 ათ. ლარის გახარჯვაზე.

ინდ. აქტის ნომერი, თარიღი	შინაარსი	სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა
ბრძანება № 886.86220816 22/03/2022 წ.	ახმეტის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს მომხდარი სტიქიის (ქარი, მიწისძვრა) შედეგად დაზარალდა 4 ოჯახი, რომლებსაც ნაწილობრივ დაუზიანდათ სახლის სახურავი, კედლები. კომპენსაციის სახით ფულადი დახმარების მიზნით სარეზერვო ფონდიდან გამოიყო თანხა 2800 (ორი ათას ოცდაათი) ლარის ოდენობით.	2800
ბრძანება № 886.862214414 24/05/2022 წ.	"სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 აპრილის #604 განკარგულებით ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 310,0 ათ. ლარს. ვინაიდან აღნიშნული თანხით ვერ ხერხდება დაზარალებულთა სახლების გადახურვისთვის საჭირო მასალების სრულად შეძენა, საჭიროა სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს თანხა 15100 ლარი.	15100
ბრძანება № 886.2214715 27/05/2022 წ.	ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანში სახალხო დღესასწაულ "ზეზვაობაზე" სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია თანხა 1700 ლარი.	1700
ბრძანება № 886.86221516 31/05/2022 წ.	ახმეტის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალდა 23 ოჯახი, რომლებსაც ნაწილობრივ დაუზიანდათ სახლის სახურავი, კედლები და საჭიროა კომპენსაციის სახით ფულადი დახმარების აღმოჩენა. აქედან გამომდინარე, დაზარალებულთათვის დახმარების მიზნით სარეზერვო ფონდიდან გამოიყო თანხა 12 000 ლარის ოდენობით.	12000

ბრძანება № 886.86221817
30/06/2022 წ.

ახმეტის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის 15 ივნისს კასრისწყლის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზიანებული საერთო საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის.

30308

ბრძანება № 886.86222499
06/09/2022 წ.

ახმეტის მუნიციპალიტეტში 2022 წელს მომხდარი სტიქიური უბედურებების შედეგად დაზიანებული სახლის სახურავებისა და კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის მასალების შეძენა

48900

ბრძანება № 886.86222796
06/10/2022 წ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარჩინებით კურსდამთავრებულთა წახალისება ფულადი დახმარების სახით.

26100

ბრძანება № 886.86223615
27/12/2022 წ.

ახმეტის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებული 14 ოჯახისთვის ფულადი კომპენსაციების გაცემა

12900

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში			
დასახელება	2022 წელი		
	გეგმა	ფაქტი	%
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5109.1	4515.6	88.4
თავდაცვა	168.7	166.7	98.8
ეკონომიკური საქმიანობა	11344.4	6585.9	58.1
გარემოს დაცვა	2346.3	2140.9	91.2
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2285.7	1841.7	80.6
ჯანმრთელობის დაცვა	189.8	137.1	72.2

დასვენება და კულტურა	3835.4	3656.1	95.3
განათლება	4838.6	4287.4	88.6
სოციალური დაცვა	1567.1	1515.8	96.7
სულ ხარჯები	31685.1	24847.2	78.4

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება:

■ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 4515,6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5109,1 ათასი ლარი) 88,4%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 18.2%-ს შეადგენს. მათ შორის:

✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 4415.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (5007.4 ათასი ლარი) 88.0%-ია; საიდანაც ფინანსურ და ფისკალურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯია 270,9 ათასი ლარი.

✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 94.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 6.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (6.7 ათასი ლარი) 89%-ია.

■ თავდაცვის სფეროში დაგეგმილ იქნა 168.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 166.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99%-ია. ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 0,7%-ს შეადგენს.

■ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 11344,5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6585,9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 58%, ხოლო

მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 26,5%-ს შეადგენს.მათ შორის :

✓ სოფლის მეურნეობის დაფინანსებამ შეადგინა 878,5 ათასი ლარი ანუ გეგმის (996,7 ათასი ლარი)88%;

✓ საავტომობილო ტრანსპორტის და გზების დაფინანსებამ შეადგინა 4912,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (8226,3 ათასი ლარი) 60%;

✓ ტურიზმის (ტურისტული ინფრასტრუქტურის)მიმართულებით დაფინანსებამ შეადგინა 794,9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2121,4 ათასი ლარი) 37%;

■ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 2346,3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2140,9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 8,6%-ს შეადგენს. მათ შორის:

✓ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 1001,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (1034,3ათასი ლარი) 97%-ია;

✓ გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით დაფინანსება- 213,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (216,3 ათასი ლარი) 99%-ია;

✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 454,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (470,9 ათასი ლარი) 97%-ს შეადგენს.

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში-დაფინანსებამ შეადგინა 471,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (624,8 ათასი ლარი)75%-ს შეადგენს.

✓

■ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 2285,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1841,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 81%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 7,4%. მათ შორის:

✓ ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 33,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (43,1 ათასი ლარი) 77%-ს შეადგენს;

✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 1271,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1664,0 ათასი ლარი) 76%-ს შეადგენს;

✓ გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 537,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (578,5 ათასი ლარი) 93%-ს შეადგენს;

■ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 189,7 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 137,0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 72%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0,6%. მათ შორის:

✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 99,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (106,1 ათასი ლარი) 94%;

✓ ამბულატორიული მომსახურების სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 37,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (83,6 ათასი ლარი) 45%-ს შეადგენს.

■ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 3835,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3656,1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 14,7%. მათ შორის:

✓ მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 1361,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1479,1 ათასი ლარი) 92%;

✓ მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 1706,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1741,5 ათასი ლარი) 98%-ს შეადგენს;

✓ ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა (57,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (64,6 ათასი ლარი) 89%-ს შეადგენს;

✓ საზოგადოებრივი, ახალგაზრდული და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 230,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (237,9 ათასი ლარი) 97%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 300,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (312,3 ათასი ლარი) 96%-ს შეადგენს.

■ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 4838,5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 4287,4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 89%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 17,3%. მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 3932,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (4453,6 ათასი ლარი) 88%-ს შეადგენს;

✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 354,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (384,9 ათასი ლარი) 92%-ს შეადგენს;

■ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 1567,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1515,8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 6,1%. მათ შორის:

✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 364,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (365,5 ათასი ლარი) 99.8%-ს შეადგენს;

✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 585,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (611,2 ათასი ლარი) 96%;

✓ სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას (სოციალური სახლი), დაფინანსებამ შეადგინა 490,3 ათასი ლარი , ანუ გეგმის (509,5 ათასი ლარი) 96%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 75.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (80.9 ათასი ლარი) 94%-ს შეადგენს.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური